საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

# ბრძოლა

შაბათი. 24 ივლისი 1920 წ.

ფასი 5 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 125 მანეთი. ცალკე ნომერი ქალაქში 5 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 10 მანეთი, მეოთხე გვერდზე 6 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (15×2) 200 მანეთი. ხელნაწერები არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება: ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან. ტელეფონი 16—62.

№ 165 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 165

საქართველოს სოც.-დემ მუშათა პარტიის

## ცენტრალური კომიტეტი

მოთავსებულია ერთობის ქ. № 4, მესამე სართული, შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79.

მეუღლე სონია, შვილი აკაკი, ძმები: ამბაკო და გერმანე, დედა მართა, რძლები: სარა და მაგდანე, ბიძაშვილები: კოწია, ილიკო და ვლადიმერი ოჯახობითურთ აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ კვირას 18 ივლისს ტრაღიკულათ მოკლულ იქნა

**რაჟდენ ყიფიანი**

მიცვალებულს გამოასვენებენ რკ. გზ. საავადმყოფოდან, კვირას, დილის 10 საათზე. დასაფლავება მოხდება კუკიის სასაფლაოზე. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 ს. რკ. გზის საავადმყოფოში. (2405 3—2)

დღიდან გარდაცვალებისა სამი წლის შესრულების გამო, 25 ივლის დღით კვირას, ქუთაისის საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი ახალ ცხოვრებას უდროვოდ მოწყვეტილი ექიმი

**ანდრო მერაბის ძე კილასონიას**

სულის მოსახსენებლად, რასაც ღრმა მწუხარებაში მყოფნი უბედური მამა მერაბი, ძმები ნიკოლოზი და ანტონი, რძალი ზინა კილასონიასი, ძმისწული პატარა შურა, და ელისაბედი ჩოგავაძისა და სიძე შალვა იაკობის ძე ჩოგავაძე აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობებსა და მეგობრებს. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი 11 საათზე. (2322 3—2)

დამწუხრებულნი: დედა ევდოკა კონსტანტინეს ასული, ძმა ერმილე კონსტანტინეს ძე და და ნისია კონსტ. ასული ქმრით მისალი რუსტამოვი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობ-მეგობრებს, რომ ბაქოში მოკლულ ბალშევიკების მიერ

**თომა კონსტანტინეს ძე ალანიას**

პანაშვიდი გადახდილი იქნება ქაშვეთის ეკლესიაში 25 ივლისს წირვის შემდეგ. (2363 1—1)

ბორჩალოს მაზრის ერობის გამგეობა მოსამსახურეებით და მთელი შემადგენლობა მაზრის ადმინისტრაციისა გულითადი მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ ამა თვის 18 ახალშენ ეკატერინენფელდში თავის მოვალეობის აღსრულების დროს ტრაღიკულად დაიღუპა მათი თანამშრომელი მაზრის რეზერვის უფროსი მილიციონერი

**მიხეილ (მიშა) ჯანიაშვილი**

მიცვალებულის ახალშენიდან გასვენება მის სამშობლო ს. სასირეთში (გორის მაზრა) მოხდა 22 ივლისს დილით. (2413 1—1)

გულმოკლული მშობლები: ანდრო და ფაქა გაბუნიები შვილებით მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას 25 ივლისს გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი მათთვის დაუვიწყარ ქალის

**ნ ი ნ ა ს**

სულის მოსახსენებლათ ქ. ქუთაისში საფიჩხიის ეკლესიაში. (2419—1—1)

**მეორე ქართული კლუბი**

(პლეხანოვის პროსპექტი № 129)

შაბათს, ივლისს 24,

**საოჯახო საღამო-კონცერტი**

მონაწილეობენ: ქ. ქ. გაბაშიძის ასული, გილბერტისა, რიხსი, ბ. ბ. ვენაძე, თარხან-მოურავი, ჭუმბურიძე. როიალთან ჟ. ფალიაშვილი.

კონცერტზედ დასწრება უფასოა. დასაწყისი საღამოს 9 საათზე. კლუბში შესვლა საზოგადო წესით. (ნ. 1—1)

**მეხილეთა კოოპერატიული ამხანაგობა**

**„ქ ა რ თ ლ ი“**

მეხილეთა ამხანაგობა „ქართლს“ გორის სამაზრო ერობასთან ერთად აქვს გასაყიდათ მომზადებული დიდძალი **ზამთრის ხილი.** მსურველთ შეუძლიანთ **დაკვეთა** ხელმისაწვდომ ფასებში

**ფუთოებით და ვაგონობით**

აქაურ თუ საზღვარ-გარეთულ ბაზრისთვის გამზადებული (упаковка). მისამართი: მოსკოვის ქუჩა № 4, „ქართლი“. **ამხანაგობის გამგეობა.** (2163—6—6)

# განცხადება.

## „შ რ ო მ“-ი ს სამთო მადნეულების ქარხნის ამხანაგობის გამგეობა,

რომელიც არსებობს ამხანაგობის ხელშეკრული პირობის ძალით 1910 წლის 19 (ცხრამეტი) აგვისტოდან და დადგენილებით 1911 წლის 21 ოკტომბრიდან, ამით აცნობებს დაწესებულებათა და კერძო პირებს რომ, ეგრეთ წოდებული დირექტორი გამწესრიგებელი მოხსენებული ამხანაგობისა გენერალი ვ. კ. ფელდტი ამა წლის 26 ივნისს, ბოროტმოქმედებისთვის, რომელიცა ჩაიდინა ამხანაგობის საქმეებში, დაპატიმრებულია და პასუხის გებაშია მიცემული ქუთაისის ოლქის სასამართლოს საგანგებო საქმეთა გამომძიებლისა მიერ; გამგე ქარხნისა ა. პ. ზვენიგოროდსკი და იურისკონსულტი პ. პ. გენერალი ანდრეევი ჩამოშორებულ არიან ქარხნის საქმეების მმართველობას.

დღეს ქარხნის მმართვა-გამგეობა მიღებული აქვს ახალ გამგეობის შემადგენლობას, რომელთაც უნდა მიმართონ ყოველ საქმისათვის, რაიცა შეეხება სამთო მადნეულების „შრომა“-ის ქარხნის ამხანაგობას:

მისამართი: სადგური ძირულა, ქარხანა „შრომა“. ქარხნის კანტორა, რომელიცა მოთავსებული იყო ქ. თფილისში, ნიკოლოზის ქუჩა, № 56, ბინა 2. (ბინა გენერალ ანდრეევისა) გაუქმებულია.

(2410—1—1) „შრომა“-ის ქარხნის ამხანაგობის **გამგეობა.**

ექიმი

**ნიკოლოზ სიმ.-ძე ხეჩინოვი**

იღებს სენებით, ქალურ და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2 ს. და საღ. 5—7 ს. ბელინსკის ქ. სახ. № 21, ბინა 2. ტელეფ. 11—74. 2048—თ.

მსურს ვიყიდო

**საპარიკმახერო**

ქ. თფილისში, უმთავრეს ქუჩაზე ყოველივე მოწყობილობით, პირობების გაგება ქ. ფოთში **ნესტორ ჩიხლაძესთან.** (2414 4—1)

## საბჭოთა რუსეთი და ანტანტის ურთიერთობა

უკანასკნელი დეპეშებიდან სჩანს, რომ საბჭოთა რუსეთსა დ ანტანტის ურთიერთობაში ისევ კრიტიკული მომენტი დადგა. ანტანტამ წინადადება მისცა საბჭოთა რუსეთს, რომ მან ომი შესწყვიტოს, როგორც პოლონეთთან, ისე გენერალ ვრანგელთან. ის პირობები, რომლებითაც ანტანტის წინადადებით უნდა მომხდარიყო ომის შეწყვეტა, საბჭოთა რუსეთისათვის მიუღებელი გამოდგა: მოსკოვის მთავრობის პასუხში და აგრეთვე იმ მოწოდებაში, რომელიც მან გამოაქვეყნა ამ დღეებში, მოსკოვის მთავრობა აღიარებს, რომ გენერალ ვრანგელისათვის ყირიმის დათმობის მოთხოვნა ანტანტის მხრით ნიშნავს რუსეთის შინაურ საქმეებში ჩარევას და რუსეთის სამოქალაქო ომის დროს რეაქციის მფარველობასო. მოსკოვის მთავრობის პასუხი იმდენათ მკვახე გამოდგა, რომ ინგლისის და საფრანგეთის მმართველ წრეებში უკვე ლაპარაკობენ კრასინთან მოლაპარაკების შეწყვეტაზე და კრასინის მიერ ლონდონის დატოვებაზე.

თუ ეს ცნობა გამართლდა და ანტანტამ მოლაპარაკება შესწყვიტა საბჭოთა რუსეთთან, ეს მომავალში მრისხანე პერსპექტივებს წარმოშობს მთელი მსოფლიოსათვის. ინგლისის პრესა არც მალავს, რომ მოლაპარაკების შეწყვეტა ნიშნავს ომის განახლებას საბჭოთა რუსეთთანო: „მოკავშირენი, ნათქვამია ინგლისის ერთ გავლენიან გაზეთში, ამ შემთხვევაში აქტიურ ზომებს მიმართავენ და ყველა ანტიბალშევიკურ ძალას დახმარებას აღმოუჩენენ. ამ შემთხვევაში ბრძოლა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ინტენსიურ ხასიათს მიიღებს“.

წარმოუდგენელია ის საშინელება და ბოროტება, რაც მთელს ქვეყანას მიადგება, ომი რომ განახლდეს. ექვსი წლის განმავლობაში ნიავდებოდა, ზღვაში ინთქებოდა და ცეცხლში იწოდა მთელი ის სიმდიდრე, რაც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ხალხმა დააგროვა უზარმაზარი შრომით. ეს განადგურება იმდენათ მწვავე გამოდგა, რომ მთელი მსოფლიო გმინავს მის შედეგებისაგან. ცოტაოდენი შესვენების დროს კაცობრიობამ თვალი გადაავლო—იმ საშინელ განადგურებას, რომელიც თითონვე ჩაიდინა, და თავზარდაცემული ისევ შეუდგა შრომას ასე უგუნურად დაღუპულ დოვლათის აღსადგენათ. ის წარმოუდგენელი, უმაგალითო კრიზისი, რომელსაც მთელი მსოფლიო განიცდის, თანდათან ნელდება. კაცობრიობას ისევ იმედი ევლინება, რომ ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგება, რომ იგი გამონახავს დღევანდელი პირობებისათვის შესაფერს პოლიტიკურ-სოციალურ ფორმებს, რომელთა წყალობითაც შესაძლებელი გახდება კაცობრიობამ ისევ შესაფერ სიმაღლეზე აიყვანოს ომის წყალობით დაქვეითებული კულტურული ცხოვრება. და აი ამ დროს, როდესაც მთელი კაცობრიობა სასოებით ელოდება ცოტაოდენ შვებას, ამ დროს გვეუბნებიან, მოსალოდნელია ომის განახლებაო. ვერავითარი წარმოდგენა ვერ გაითვალისწინებს იმ საშინელებას, რაც თავს დაატყდება, კაცობრიობას, თუ მართლა ომი განახლდა. ეს საშინელება თავს დაატყდება უპირველეს ყოვლისა, ომში პირდაპირ ჩართულ სახელმწიფოებს, უპირველეს ყოვლისა, საბჭოთა რუსეთს. ჩვენ არა ერთხელ გამოგვითქვამს ის აზრი, რომ ომია წყარო იმ კრიზისისა, არევ-დარევისა და ანარქიისა, რომელიც რუსეთს აქამდის ვერ მოუშლია. დღეს ამ აზრს ავტორიტეტულად ადასტურებს ინგლისის მუშათა დელეგაცია, რომელმაც რუსეთი მოიარა,—აი რას ამბობს ამის შესახებ ერთი დელეგატთაგანი **მისს ხნოუდენი.**

„ბალშევიკებს ხელს უწყობს ომი. რომ ხვალ ზავი გამოცხადდეს, ბალშევიკების წინააღმდეგ საერთო რეაქცია დაიწყება და საბჭოები იძულებულნი იქნებიან ან წავიდენ, ან ძირიანად შესცვალონ თავისი პოლიტიკა“.

მაშასადამე, ომი კიდევ უფრო ხელს შეუწყობს იმ კრიზისის გაღრმავებას, რომელსაც დღეს რუსეთი განიცდის. მაგრამ არც თვით ანტანტისათვის იქნება იგი ადვილი ასატანი. ამ ნახევარ—წლის წინათ საფრანგეთის შესახებ ლაპარაკობდენ: თუმც იგი ფორმალურად გამარჯვებული გამოვიდა მსოფლიო ომიდან, მაგრამ მისი ეკონომიური მდგომარეობა დამარცხებულ გერმანიის მდგომარეობაზე უფრო აუტანელიაო. ინგლისმა შედარებით ადვილათ გაუძლო მსოფლიო ომს, მაგრამ იმასაც აღმოაჩნდა ისეთი წყლულები, რომლებსაც დღესაც ირჩენს და რომლის რჩენაც ჯერ კიდევ დიდხანს დასჭირდება: ასეთი წყლულებია ირლანდიის საკითხი, ინდოეთის საკითხი, კოლონიური პოლიტიკა და ყველა ის შინაური სოციალ-პოლიტიკური საკითხები, რომლებიც ასე მჭიდროთ არიან დაკავშირებულნი ინგლისის კოლონიურ პოლიტიკასთან.

ახალი ომი არც იმ სახელმწიფოებს დააყრის კარგს, რომლებიც ომში პირდაპირ არ იქნებიან ჩარეულნი. პატარა სახელმწიფოებზე ლაპარაკიც კი მეტია. „აქლემები წაიკიდნენ და კოზაკი შუაში გაჭყლიტესო“. ასეთი ბედი მუდამ შეიძლება ეწიოს პატარა სახელმწიფოს, როდესაც მის გარშემო ომობენ დიდი სახელმწიფოები.

ომის განახლების წინააღმდეგ ხმა უნდა აიმაღლოს მთელმა დემოკრატიამ, რომელსაც ომის საშინელება ყველაზე მწარეთ დაატყდება თავს, მთელმა კაცობრიობამ, რომელიც დღეს კიდევ გმინავს ხუთი წლის ომის შედეგებისაგან, და მეტადრე მცირე ერებმა, რომელთაც დიდ სახელმწიფოთა ომი ადვილათ გასტეხს წელში.

## მუშათა კლასი და ბალშევიკები საქართველოში

საქართველოს პროფესიონალურ კავშირების საბჭოთა აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა გაეგზავნოს პროფეს. კავშირების საერთაშორისო ბიუროს შემდეგი მიმართვა:

ორი წელიწადი გავიდა მას აქეთ, რაც საქართველო რუსეთს ჩამოშორდა. ეს ისტორიული ფაქტი არ აიხსნება ჩვენი ქვეყნის ვიწრო ეროვნული მისწრაფებებით. საქართველოს მუშათა კლასი შორს იყო ამისთანა მისწრაფებისაგან. ის ყოველთვის იდგა საერთაშორისო დროშის ქვეშ. რუსეთის განაპირა ერებმა რევოლიუციის პირველ დღეებშივე დაიწყეს ბრძოლა გამოცალკევებისათვის. საქართველო შეადგენდა იმ დროს ერთ გამონაკლისს. ის არ ფიქრობდა რევოლიუციონური რუსეთისაგან გამოყოფას. ეს გამოყოფა აუცილებელი შეიქნა ჩვენთვის ბრესტლიტოვსკში ხელმოწერილი ზავის შემდეგ. რუსეთის ჯარმა ამ ზავის ძალით იარაღი დაჰყარა, დაიშალა, სამშობლოში დაბრუნდა. ამიერკავკასიის ფრონტი დაცარიელდა და განმარტოებული საქართველო ოსმალელი იმპერიალისტების წინაშე თავის ამარათ დარჩა. ის უკვე თითონ უნდა გამოსულიყო ბრძოლის ველზე თავისი ფიზიკური არსებობისთვის. ჩვენი დამოუკიდებლობა ამ გვარათ მოხდა ჩვენ სურვილზე დამოუკიდებლათ. ამ ფაქტის წინ ჩვენ დაგვაყენა მაშინდელ რუსეთის მთავრობამ, მისმა დამარღვეველმა სახელმწიფოებრივმა პოლიტიკამ.

რუსეთთან დაბრუნება აღარ შეეძლო საქართველოს მაშინ, როდესაც რუსეთი მიადგა საშინელი ანარქიის უფსკრულს. როგორც რუსეთის ნაწილი, ჩვენ ვერ ავცდებოდით იმ სამოქალაქო ომს, რომელმაც ნანგრევებათ გადააქცია ეს დიდი ქვეყანა და ამ ნანგრევებში ჩაიტანა რევოლიუციით შენაძენი თავისუფლებები. ამ შენაძენის გადასარჩენათ, ერის და მუშათა კლასის თავდასაცველათ ჩვენ უნდა დავრჩენილიყავით ნეიტრალურ ასპარეზზე, არ უნდა მოვქცეულიყავით არც ერთ მეომარ ბანაკში. ეს კი შესაძლებელი გახდა მხოლოდ რუსეთის საზღვრებს გარეშე.

ეროვნული დროშა აიმართა საქართველოში მუშათა კლასის, მუშათა დემოკრატიის ხელით. მუშათა კლასი უდგას სათავეში დღეს იმ დიდ საქმეს, რომელსაც მოითხოვს დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობა.

ეროვნული დამოუკიდებლობა არ ყოფილა და არ არის ჩვენთვის **თვით მიზანი.** ამ მიზნისთვის ჩვენ არ შეგვიწირავს არც ერთი სოციალისტური, არც ერთი დემოკრატიული პრინციპი. პირიქით, თანამედროვე პირობებში ეს იყო საუკეთესო იარაღი, რომლითაც ჩვენ ვსარგებლობდით ამ პრინციპების განსამტკიცებლათ.

ეროვნული დამოუკიდებლობის ფარგლებში ჩვენ ვქმნით საერთაშორისო სოციალიზმის ეკონომიურ და პოლიტიკურ პირობებს.

მშრომელი ხალხის სოციალისტური წარმომადგენლები შეადგენენ დიდ უმრავლესობას საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭის ყრით არჩეულ დამფუძნებელ კრებაში. 130 წევრია აქ და ამ რიცხვიდან 102 ადგილი ეკუთვნის მუშა-გლეხობის დეპუტატებს.

დამფუძნებელ კრებასთან და სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან თანამშრომლობით საქართველოს მუშათა კლასი ატარებს საზოგადოებრივ რეფორმებს სოციალისტურ წესწყობილების დასამყარებლათ. ამ რეფორმების ძალით უმამულო და მცირე მამულიან გლეხებს გადაეცათ მსხვილი მესაკუთრეებისგან ჩამორთმეული მიწები, დემოკრატიულ სახელმწიფოს ხელში გადავიდა ტყეები და მთამადნეულობა, რკინის გზები, მსხვილი მამულები, სამკურნალო წყლები და სხვა. ამავე მიზნით ეწყობა სახელმწიფოს, ქალაქთა, ერობათა, თემთა და კოოპერატივთა მიერ ახალ-ახალი საწარმოვო დარგები. კერძო ინიციატივას კი ასპარეზი ეძლევა იმდენად, რამდენადაც ის ემსახურება საზოგადო მეურნეობის აღორძინებას.

მუშათა კლასი პროფესიონალური კავშირების ხელმძღვანელობით ერთმანეთს უთანხმებს კლასობრივ და სახელმწიფოებრივ ინტერესებს, ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების ზრდას და საწარმოო ძალების განვითარებას. პროფესიონალური კავშირების აქტიური მონაწილეობით იქმნება შრომის პირობების გასაუმჯობესებელი ახალი კანონმდებლობა. იგივე მუშათა ორგანიზაციები მონაწილეობას იღებენ იმ ზედამხედველობაში, რომელიც საჭიროა ამ კანონ-მდებლობის სინამდვილეში გასატარებლათ, ნორმალურ სამუშაო დროთ ჩვენი კონსტიტუციის ძალით უკვე აღიარებულია დღეში 8 და კვირაში 46 საათი.

საქართველოში განხორციელებულია მუშათა კლასის დიქტატურა და ამ დიქტატურას სარჩულად უდევს თავიდან ბოლომდის გატარებული დემოკრატიზმი. უხალხოდ, ხალხის წინაშე უპასუხისმგებლოდ ჩვენში არ კეთდება არაფერი. აქ სავსებით დაცულია სიტყვის, ბეჭდვის, კრების, კავშირების თავისუფლება და ყოველივე ძალდატანებითი ზომა მიმართულია მხოლოდ იმ უმცირესობის წინააღმდეგ, რომელიც ძალმომრეობით სცდილობს ძალა-უფლების ხელში ჩაგდებას. სრული მოქალაქეობრივი თავისუფლებით ვერ სარგებლობენ მარტო ძველი, თვითმპყრობელ რუსეთის მოტრფიალე ჯგუფები და აქ ყოველივე გავლენას მოკლებული ბალშევიკური პარტია. ამ პარტიის ხელმძღვანელები სრულიად არ უწევენ ანგარიშს რუსეთ-ადერბეიჯანთან ჩამოგდებულ ზავს და შეურიგებლად უყურებენ საქართველოს დამოუკიდებლობას, თუმცა დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა და საბჭოთა რუსეთმაც იცნეს ფაქტიურად ეს დამოუკიდებლობა.

ადგილობრივი ბალშევიკები საზავო ხელშეკრულებას აღიარებენ მხოლოდ ქაღალდზე, საქმით კი ამზადებენ ისევ სამოქალაქო ომს დ სისხლის ღვრას. თავისი გაზეთების ფურცლებზე ისინი ათავსებენ განგებ შეთხზულ ცნობებს და ქმნიან საქართველოს რესპუბლიკის გარშემო მტრულ განწყობილებას.

ბალშევიკების ამნაირ საქმიანობაში მთავარი ალაგი უჭირავს პროვოკაციას. ივნისის დამლევს, მაგალითად, ბაქოს კომუნისტურ გაზეთში მოთავსებული იყო მოგონილი დეპეშა, რომლისგანაც სჩანდა, რომ ვითომ თფილისში 27 მაისს მოხდა მუშათა მიტინგი და ვითომ რესპუბლიკის ჯარი შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით. ტყვიით შეხვდა ამ მიტინგს.

ამისთანა ცნობებით კომუნისტური გაზეთები ამხედრებენ მეზობელი ერების მშრომელ ხალხს, თავდასასხმელათ ამზადებენ მის საზოგადოებრივ აზრს და მისი შეუგნებელი თანაგრძნობით უნდათ ისარგებლონ მომავალ გამოლაშქრებაში ჩვენი დემოკრატიული წესწყობილების შესამუსრავათ.

ჩვენ ვიცით, რომ საბჭოთა რუსეთში ამ პარტიის დიქტატურა ეწინააღმდეგება უმრავლესობის სურვილს და ყველაზე უფრო შემაწუხებელია ის თითონ მუშათა კლასისთვის. იქაურ მუშათა კლასს დღევანდელ პირობებში ეკარგება ფიზიკური და ზნეობრივი ძალა, ხელიდან ეცლება ის, რაც საჭიროა სოციალიზმისთვის საბრძოლველათ. ამავე მდგომარეობაში ჩააყენებს ჩვენ მუშათა კლასს აქ ბალშევიკების გამეფება. ეს ბოლოს მოუღებს ამ ორი წლის აღმშენებლობით მუშაობას, შიმშილს და სიკვდილს შემოიტანს ჩვენს პატარა ქვეყანაში.

საქართველოს მშრომელ ხალხს ეს ხიფათი კარგათ აქვს გათვალისწინებული და ის იცავს ამიტომ საქართველოს დამოუკიდებლობას, თავისი პოლიტიკურ თვითგამორკვევის უფლებას. ჩვენ მუშა გლეხობას არა აქვს რა სადავო რუსეთის, აზერბეიჯანის და სხვა მეზობელი ქვეყნების მშრომელ ხალხთან. ის უარჰყოფს მხოლოდ ბალშევიკური პარტიის დიქტატურას.

დანარჩენ კუთხეებს არ შეეძლოთ გამკლავებოდენ და ვერც გაუმკლავდენ ამ პარტიის „წითელ“ რაზმებს. ციმბირში, უკრაინაში, დონის ოლქში, ყუბანში და სხვაგან არ არსებობდენ ნამდვილი დემოკრატიული მთავრობები, იქაური მშრომელი ხალხი ამიტომ ვერ იჩენდა საკმაო ძალას ბალშევიკებთან ბრძოლაში. ბალშევიკები ადვილათ იპყრობდენ ამ კუთხეებს.

საქართველო ერთად-ერთი კუთხეა, რომელმაც აქტიური წინააღმდეგობა გაუწია ჩვენ კარზე მომდგარ ბალშევიკებს. თავდაცვით ომში ჩვენმა მუშათა კლასმა და გლეხობამ გამოიჩინა არაჩვეულებრივი სიმტკიცე და ერთსულოვნება. ამავე იარაღით ის შეხვდება ახალ მოსალოდნელ საფთხეს და თავზე არ მოიხვევს სხვის ნებას, ძალდატანებით მოტანილს. საქართველოს მუშათა კლასი თანაგრძნობას ეძებს ევროპის მუშათა კლასში და თავისი პროფესიონალური კავშირების საბჭოთა აღმასრულებელი კომიტეტის პირით მიმართავს საერთაშორისო ბიუროს იმ იმედით, რომ ის გამოგზავნის მუშათა კომისიას ადგილობრივი მდგომარეობის შესასწავლათ და ბალშევიკური პარტიის ჩვენთან დამოკიდებულების გასაცნობათ.

ამ კომისიის საშუალებით საზღვარგარეთელ ამხანაგებს შეძლება მიეცემათ დააფასონ ბალშევიკური და დემოკრატიული მართვა-გამგეობა, ნახონ ერთის უვარგისობა და მეორის უპირატესობა. ეს იქნება საერთაშორისო მუშათა კლასის მხრივ ის ზნეობრივი დახმარება, რომელიც დღეს სჭირდება თავის უთანასწორო ბრძოლაში საქართველოს მუშათა კლასს.

ამხანაგური სალამით, საქართველოს პროფესიონალური კავშირების საბჭოთა **აღმასრულებელი კომიტეტი.**

## დამფუძნებელი კრება

22 ივლისის სხდომა.

თავმჯდომარეობს **ალ. ლომთათიძე.**

**დეკრეტი სამონოპოლიო საქონლის მწარმოებელთათვის ასი მილიონი მანეთის სესხის მიცემისა.**

**ბ. თევზაია** (საბიუჯეტო საფინანსო კომისია). ამ დეკრეტის თანახმად 100 მილ. მანეთი უნდა მიეცეს მთავრობას სამონოპოლიო საქონელზე მწარმოებელთათვის სესხის მისაცემათ. რამდენიმე ათი ათასი ფუთი თამბაქო უკვე მთავრობის განკარგულებაში არის, ამასთანავე ყურად საღებია ის ფაქტი, რომ დაარსდა მეთამბაქოეთა კოოპერატივი და ამით სახელმწიფოს საშუალება ეძლევა პირდაპირი კავშირი დაიჭიროს მწარმოებლებთან და ზოგიერთი ზედმეტი შუამავლები ჩამოიცილოს.

თამბაქოს ფასი დაეცა საერთაშორისო ბაზარზე, ეს მოხდა იმ მიზეზით, რომ ევროპაში საერთოდ ეცემა ფასები ყველა საქონელზე და ამასთანავე ნოვოროსიიდან დიდძალი საქონელი გაიტანეს ბაზარზე მოხალისეებმა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ზოგიერთი წრეები ევროპაშიაც იყვნენ ჩვენი მონოპოლიის წინააღმდეგნი. რაც შეეხება თამბაქოს კულტურის სივრცეს, ის შემცირდა და ამის ერთი მიზეზთაგანი არის ფრონტის მდგომარეობა გაგრაში, მეორეს მხრივ უცხოელებმა მიატოვეს წარმოება და, განსაკუთრებით ბერძნები, გადასახლდენ სოხუმიდან. უნდა მიღებულ იქნას ყოველივე ზომა კულტურის ასაყვავებლათ და ეს თანხა, რომელიც შედარებით მცირეა, უნდა იქნეს გაღებული მწარმოებლებისათვის სესხის მისაცემად.

**ი. ლორთქიფანიძე** (ს. რ.). მონოპოლიის წინააღმდეგი არ ვართ, მაგრამ იმდენი დეფექტები სდევს ამ მონოპოლიის განხორციელებას, რომ არ შეგვიძლიან ამას ყურადღებით არ მოვეპყრათ. გატანილ იქნა უცხოეთის ბაზარზე თამბაქო, მაგრამ ყურადღება სრულიადაც არ მიაქციეს იმას, თუ სად რანაირი ხარისხის თამბაქოს მოთხოვნილება იყო. მაგალითად, ლონდონში წაიღეს დაბალი ღირსების თამბაქო, იქ კი ამის მოთხოვნილება არ არის, როტერდამში წაღებულ იქნა მაღალი ღირსების თამბაქო, პირიქით, საჭირო იყო დაბალი ხარისხის თამბაქოს წაღება. თამბაქოს მონოპოლიის განხორციელების საქმე ჩაბარებული აქვთ ისეთ პირებს, რომელთაც არავითარი წარმოდგენა არ აქვთ თამბაქოს ოპერაციებზე. თამბაქოს კულტურის საქმე მიწათ-მოქმედების სამინისტროს ხელში უნდა იყოს. შემდეგ ორატორი აღნიშნავს, რომ თამბაქოს კულტურა ისე ეცემა, რომ თუ ამას სერიოზული ყურადღება არ მიექცა, თამბაქოს წარმოება სრულიად განადგურდება.

**ალ. ასათიანი.** (ნაც. დემ.) მონაპოლიის გამოცხადების დროს ისეთი მდგომარეობა იყო, რომ ყველა მომხრე იყო მისი იმ დროს ჩვენი ერის სიმდიდრე უცხოელთ ხელში ვარდებოდა და მონაპოლიის გზით შესაძლებელ იყო ეროვნული სიმდიდრის შერჩენა. მონოპოლია გავრცელებულ იქნა არა მარტო საგარეო ბაზარზე, არამედ—ადგილობრივათ დამუშავებასაც შეეხნენ; მოინდომეს მთელი ამ სამეურნეო დარგის გასახელმწიფოებრიობა. შემდეგ ორატორი ეხება მთავრობის რწმუნებულის მოქმედებას, რომელიც იქცეოდა არა როგორც კანონის გამტარებელი, არამედ—როგორც უპასუხისმგებლო პირი,

# დღეს

ინგლისური ცნობით კენისბერგის ახლოს ცნობილი გუჩკოვის მეთაურობით დიდძალი ჯარი გროვდება საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ გასალაშქრებლათ.

რადგანაც ინგლისსა და საბჭოთა რუსეთს შორის მოლაპარაკებამ სასურველი შედეგი არ მოიტანა, ამიტომ ინგლისს განუახლებია გენ. ვრანგელისთვის დახმარების აღმოჩენა საჭირო მასალების მიწოდებით.

რუმინეთის მისია უარყოფს ბალშევიკების ცნობას რუმინეთის წინააღმდეგ შეტევის დაწყების შესახებ.

ბერძნების ჯარები მარმარილოს ზღვის ნაპირებზე გადასხდნენ.

ხალხთა ლიგის სხდომა შესდგება ჟენევაში ნოემბრის 15-ს

---

თანახმად კანონისა სამონოპოლიო საქონელი უნდა ყოფილიყო აღწერილი, ყიასოვმა კი საქონელი ჩამოართვა პატრონთ და არც ანგარიშები გაუსწორა ხალხს, პირიქით, ბევრი მწარმოებელთაგანი ციხეში ჩასვა. დეკრეტს არავინ არ ასხედრებია, აუჯანყდენ გადამეტებულ ზომებს. თამბაქო გაიგზავნა გემებით ევროპაში, მაგრამ აქ ისეთი მდგომარეობა შეიქნა, რომ მისი გასაღება ძნელია. ევროპაში დიდი შიმშილი იყო თამბაქოსი, და თუ ჩვენ თამბაქოს ფასი არ აქვს იქ, ამის მიზეზი არა მუშა ხელის, ოჰიდან დაბრუნება არის, არამედ ის, რომ თამბაქო გაიგზავნა არეულად, იგი ხარისხებათ არ იყო დაყოფილი, რასაც მთავარი მნიშვნელობა აქვს. თამბაქოს წესიერი რეალიზაციით ჩვენ უნდა უზრუნველ გვეყო თავი ხორბლით და შაქრით თამბაქო თუ ნაკლები ითესება ეხლა, ამის მიზეზი არის ის, რომ მისი პატრონი ხელსაყრელ პირობებში ვერ ხედავს მის რეალიზაციას. საჭიროა ყურადღება იქნას მიქცეული, რომ ეს უდიდესი დარგი ჩვენი მეურნეობათა არ შემცირდეს.

**მომარაგების მინისტრის ამხანაგის სიტყვა.**

**ივ. ჭავჭანიძე.** ბატონებო! დამფუძნებელ კრების წევრებმა ბ-მა ი. ლორთქიფანიძემ და ა. ასათიანმა ისარგებლეს წარმოდგენილი დეკრეტით, რათა აღენიშნათ მომარაგების სამინისტროს მიერ „დაშვებული ზოგიერთი დეფექტები". როგორც ერთი, ისე მეორე ამტკიცებს, რომ თამბაქოს მონოპოლიის გატარების საქმეს სათავეში უდგანან ამ საქმის სრულიად უცოდინარი, უვიცნი პირნი; ამ მიზეზით ერთის მხრით იღუპება თამბაქოს კულტურა ჩვენში, მეორეს მხრივ კი დაიღუპა ჩვენი თამბაქოს საქმე ევროპის ბაზარზე. ბ ნებო! ეგ რომ მართლა ასე იყოს, მაშინ აქ უნდა გველაპარაკა არა „ზოგიერთ დეფექტებზე" და ამ „დეფექტების დაუყონებლივ გასწორებაზე", როგორც ეს განაცხადა ბ-მა ლორთქიფანიძემ, არამედ—ჩვენს წინ უფრო დიდი საკითხი იდგებოდა: მომარაგების სამინისტროს დამღუპველ პოლიტიკის რადიკალურათ შეცვლა.

მაგრამ, საბედნიეროთ, საქმე ასე ცუდათ არ არის. ბ-ნი ლორთქიფანიძე აცხადებს, რომ ის პირი, რომელიც ყიასაშვილის შემდეგ დარჩა სოხუმში სამინისტროს რწმუნებულათ, სრულიად უვიცია თამბაქოს საქმეში, მაშასადამე მას არ შეუძლია ამ საქმეს გაუძღვეს. ეგ არ არის მართალი. სამინისტროს რწმუნებული ბ-ნი ცხაკაია, რომელსაც დამფუძნებელ კრების წევრი ლორთქიფანიძე გულისხმობდა, მხოლოდ განმკარგულებელია; მას ყავს სპეციალისტები, რომლებიც საქმის პრაქტიკულათ გამკეთებელნი არიან. ბევრი თქვენთაგანი ალბად კარგად იცნობს სოხუმელ გამოჩენილ მეთამბაქოეს ბ-ნ გოკიელოვს; ეს უკანასკნელი სოხუმის ოლქის თამბაქოს პირველი ექსპორტიორია; ყველა დამეთანხმებით, რომ ბ ნი გოკიელოვი თამბაქოს საქმის დიდი მცოდნეა. აი, სწორეთ ეგ გოკიელოვი გვყავს ჩვენ მოწვეული სხვა სპეციალისტებთან ერთად, ეგ გოკიელოვი უვლის და პატრონობს ჩვენს თამბაქოს. აქედან ნათლათ სჩანს, რომ თამბაქოს მონოპოლიის გატარების საქმე უვიცების ხელში არ ყოფილა.

აქ ამტკიცებენ, რომ თითქოს თამბაქოს კულტურა იღუპებოდეს; თურმე უყურადღებოთ ყოფილა მიტოვებული საცდელი მინდორი, სადგური და სხვა.

არც ეგ არის, ბ-ნებო, მართალი. როგორც მომარაგების სამინისტრო, ისე მიწათ-მოქმედებისაც ჯეროვან ყურადღებას აქცევენ თამბაქოს კულტურას. მიწათ მოქმედების სამინისტრო თავის მხრივ ყოველივეს ღონობს და, რაც კი მისგან არის დამოკიდებული, აკეთებს კიდეც თამბაქოს კულტურის გასავრცელებლათ და გასანვითარებლათ.

ჩვენ გვისაყვედურებენ იმასაც, რომ თამბაქოს ჭია გაუჩნდა. მაგრამ ნუ თუ ამაში მომარაგების სამინისტროს მიუძღვის რაიმე დანაშაული? თქვენ მოგეხსენებათ, რომ თამბაქოს პლანტაციებით მდიდარია კუბა; სოხუმზე უწინ იქ გაუჩნდა თამბაქოს ჭია და დიდი ზარალიც მიაყენა. მაგრამ იქაც ხომ ჩვენი მთავრობა და მისი მომარაგების სამინისტრო არ ყოფილა?!. სოხუმის საწყობები იტევს სულ 3 0.000 ფუთამდე თამბაქოს, ხოლო ომიანობის გამო სოხუმში თითქმის ერთი მილიონ ფუთამდე თამბაქო დაგროვდა. ახდენი თამბაქოსთვის კი არ მოიძებნებოდა შესაფერი საწყობები; ამის გამოზედმეტი თამბაქოს ნაწილი ძველ საწყობებს მიუმატეს, ნაწილიც შეუფერებელ საწყობებში მოათავსეს. და აი, სწორეთ ამ მიზეზით გაუჩნდა თამბაქოს ავათმყოფობა. მიწათ მოქმედების სამინისტრო უკვე შეუდგა ამ ავათმყოფობის შესწავლას, ზოგი საბრძოლველი ნაბიჯებიც გადადგა და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეგ ზომები მიზანს მიაღწევენ.

ბ-ნმა ასათიანმა დღეს აქ გაიმეორა ის ბრალდებები, რომელნიც ამ რამდენიმე თვის წინეთ წამოაყენა შეკითხვის სახით ბ ნმა ვეშაპელმა. შეკითხვის გარჩევის დროს მე ამ ტრიბუნიდან ვუპასუხე შემკითხველს ყველა წამოყენებულ ბრალდებებზე და დამფუძნებელ კრებამაც დამაკმაყოფილებლათ იცნო ჩემი პასუხი. მე ზედმეტათ მიმაჩნია ერთხელ გაბათილებულ ბრალდებებზე ხელმეორეთ ლაპარაკი და ამიტომ არას ვიტყვი მათ შესახებ, მაგრამ არ შემიძლია უპასუხოთ დავტოვო ის ახალი ბრალდება, რომელიც დღეს წამოაყენეს, როგორც ბ-ნმა ლორთქიფანიძემ, ისე ბ ნმა ასათიანმაც. ორივე ორატორი მომარაგების სამინისტროს ამტყუნებს იმაში, რომ ევროპის ბაზარზე თამბაქოს ფასი დაეცა მომხსენებელმა ვიქტორ თევზაიამ სისწორით აღნიშნა თამბაქოს ფასების დაცემის მიზეზები. რა თქმა უნდა, ბაზრის ფასებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს თამბაქოს სპეციფიკაციას, მისი ხარისხებათ წესიერათ დანაწილებას, მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ბაზრის შერჩევასაც. მართალია აგრეთვე ისიც, რომ ის თამბაქოები, რომელიც საქართველოდან ევროპაში გაიგზავნა, უმეტეს შემთხვევაში არ აკმაყოფილებდა ზევით აღნიშნულ მოთხოვნილებებს, მაგრამ ისიც მართალია, რომ ეგ არ არის თამბაქოს დაცემის უმთავრესი მიზეზი. ფასები დაეცა არა მარტო საქართველოდან გაგზავნილ თამბაქოზე, არამედ საერთოდ ყველა ქვეყნის თამბაქოზე. ამის უმთავრესი მიზეზი ის გახლავთ, რომ ევროპის ბაზარზე დიდძალი თამბაქო მოდის სხვადასხვა ქვეყნებიდან. გუშინ მივიღეთ ბარათი ჩვენი ფინანსთა მინისტრი კ. კანდელაკისაგან; უკანასკნელი გვწერს: „თამბაქოს ფასები ძალიან დაცემულია, რადგან ბაზარი სავსეა თამბაქოთ, განსაკუთრებით ბევრია ყირიმის თამბაქო", მოხალისეთა ჯარების განადგურების შემდეგ დამარცხებულმა გენერალებმა ყირიმში დაიტაცეს თამბაქოები და გაეშურენ ევროპისაკენ; გადმოგვცეს, რომ მარტო გენერალმა შკურომ 200.000 ფუთამდე წაიღოვო. ამას გარდა თამბაქო მოდის ამ ჟამად ევროპის მაკედონიიდან, ოსმალეთიდან და მრავალი სხვა ადგილებიდან. ამასთანავე აღსანიშნავია ისიც, რომ წინათ ინგლისში სრულიად აღკრძალული იყო თამბაქოს თესვა, 1917 თუ 1918 წელში ინგლისმა ნება დართო თამბაქოს კულტურის წარმოების თავის მოქალაქეთ; ამნაირათ ინგლისს თავისი თამბაქოც აქვს თავისი მოთხოვნილების ერთი ნაწილის დასაკმაყოფილებლათ. აქედან თქვენ ხედავთ, რომ ევროპა მარტო ჩვენი თამბაქოს ამარა არ ყოფილა დარჩენილი. ამნაირათ თამბაქოს ფასები დასცა არა იმან, რომ საქართველოდან გატანილი თამბაქო არ იყო შესაფერისათ შერჩეული და კარგად მოვლილი, არამედ იმან, რომ ევროპის ბაზარზე თამბაქოს მიწოდებამ ბევრათ გადააჭარბა მის მოთხოვნილებას. მხედველობაში მისაღებია აგრეთვე ისიც, რომ ევროპაში ამ ბოლო თვეებში დაეცა არა მარტო თამბაქოს ფასები, არამედ ყოველნაირი საქონლის,—როგორც ნედლი მასალის, აგრეთვე ფაბრიკატებისაც; ეს იმას ნიშნავს, რომ ევროპა შესდგა ნორმალურ კალაპოტში ჩადგომის გზაზე.

აი, ბატონებო, ნამდვილი მიზეზები თამბაქოს ფასების დაცემისა და არა ის, რაც მოგახსენათ დამფუძნებელ კრების წევრებმა ლორთქიფანიძემ და ასათიანმა. ამასთანავე ისიც უნდა აღვნიშნო, რომ მომარაგების სამინისტროს არც ისე ბევრი თამბაქო გაუტანია, რომ ბაზარი გაეფუჭებია. მომარაგების სამინისტრომ ერთი პარტია თამბაქო გაიტანა „კოსმოსთან" ერთად; „კოსმოსიდან",—თქვენც მოგეხსენებათ დიდძალი საქონელი მივიღეთ ნისიათ და თამბაქოც ამ მიღებულ საქონლის უზრუნველსაყოფათ გავგზავნეთ; მაგრამ, როდესაც ცნობა მივიღეთ, რომ ამ ფირმის მდგომარეობა შეირყა, ჩვენ გატანილი თამბაქო ფირმას შევახსენით სრულ საკუთრებათ; ჩვენ სრულიათ მივიღეთ ამ ფირმიდან რაც გვერგებოდა. მეორე პარტია 25000 ფუთი გავიტანეთ ავგერინოსთან ერთად, რომ სამაგიეროთ ფქვილი შეგვეძინა და შემოგვეტანა. მესამე პარტია 34000 ფუთი ახლა იგზავნება; ეგ უკანასკნელი ჩვენ ბანკში გვაქვს დაგირავებული; ფუთზე ორი გირვანქა სტერლინგი უკვე გვაქვს მიღებული და იძულებული ვართ ბანკის მოთხოვნით გავიტანოთ.

აქვე უნდა დავუმატო შემდეგი: ყველა ჩვენ მიერ გატანილი თამბაქო ხარისხებათ დანაწილებული და გასატანათ დამზადებული იყო იმ „სკუპშჩიკების" მიერ, რომლებიც ბ-ნ ასათიანს დიდ სპეციალისტებათ მიაჩნია და რომლებსაც იგი ხშირათ იცავს ამ ტრიბუნიდან. აშკარაა, რომ აქ არაფერ შუაშია სამინისტროს მოხელეების უვიცობა.

მე ვფიქრობ, რომ ყველა ზემო მოხსენებულის შემდეგ ნათლათ უნდა სჩანდეს უსაფუძვლობა იმ „დეფექტების" და საყვედურების, რომლებიც ამ ტრიბუნიდან წარმოითქვა მომარაგების სამინისტროს მისამართით.

ამით მე სრულიადაც არ მინდა ვსთქვა, რომ მომარაგების სამინისტროს მოღვაწეობაში არავითარი დეფექტი არ იყოს. რა თქმა უნდა, არის ზოგიერთი დეფექტები, მაგრამ განა შეიძლება ისე გააკეთო დიდი და ახალი საქმე, რომ არც ერთ დეფექტს ადგილი არ ექნეს? მე ვფიქრობ, რომ ეგ შეუძლებელია. მონოპოლია ჩვენთვის ახალი საქმეა, მისი ცხოვრებაში გატარება მოითხოვს, როგორც დიდ ენერგიას და საქმის ცოდნას, ისე დიდ თანხას. დღევანდელი დეკრეტით გამოთხოვილი თანხა აუცილებლათ საჭიროა მონოპოლიის ცხოვრებაში გასატარებლათ და მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ მიიღებთ ამ დეკრეტს.

**შ. ქარუმიძე** აღნიშნავს, რომ ჩვენი წარმოება არ არის ისეთი ძლიერი, რომ შეეძლოს პირდაპირ უშუალოთ საქონელი ჩააბაროს მთავრობას. გარეშე პირები უწინ საქონლის ყიდვასთან ერთად წინასწარ აძლევდენ საწინდარს, საქონლის დასამუშავებლადაც და ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა ისეთია, რომ თუ მთავრობა და მწარმოებლები ხელიხელ ჩაკიდებული არ იქნებიან, ისე ძნელათ დააღწევს ჩვენი ქვეყანა თავს გაჭირვებას. სანამდის ჩვენი წარმოება ფეხზე დადგება, მთავრობა მას უნდა დაეხმაროს, ორატორი აღნიშნავს, რომ თუ მთავრობა არ დაეხმარება მწარმოებლებს საქონლის გატანაში, შეიძლება ბაზარი დიდი ხნით დავკარგოთ. შემდეგ ამისა ორატორი ეხება იმ მიზეზებს, თუ რამ გამოიწვია ინტენსიურ მეურნეობის შემცირება. დღეს თუ ქიზიყში თამბაქოს აღარ სთესენ ეს არა იმიტომ, რომ მუშა ხელის ნაკლებობა ან სხვა პირობები უშლიდა ხელს, არამედ იმიტომ, რომ ხალხმა მიწები გადაიხნა ხორბლის მოსაყვანათ. აყარებული მიწები დაიხნა საქართველოში და შესაძლებელი ამან კრიზისიც გამოიწვიოს. თუ დღეს პური ასე გვესაჭიროება და კარგია ბევრი პურის მოყვანა შეიძლება დადგეს ისეთი დრო, რომ შემოვიდეს სხვა ქვეყნიდან იაფი პური და ამან კი გააჩუთულის მდგომარეობა. ინტენსიურ მეურნეობაზე ხელის აღება ეს დიდი რეგრესი არის. არ უნდა შეიქნას ისეთი მდგომარეობა, როცა თამბაქოს ნაცვლად სიმინდის თესვას მიყვება ხალხი. რაც შეეხება 100 მილიონ მანესხს ორატორი მომხრეა მისი.

მომხსენებელი **თევზაია** უპასუხებს რა ოპონენტებს, აღნიშნავს, რომ დეფექტები რომ არის, ის თვით მე განვაცხადე მოხსენების დროსო. რაც შეეხება იმას, რომ დენიკინელებს თამბაქოს გატანისათვის არ ეცალათ, ისინი მხოლოდ თავის გადარჩენაზე ფიქრობდნენ, ეს არ არის მართალი. საქმე სწორედ ისეა ხოლმე, რომ ჯერ ძვირფას საქონლის გატანაზე ზრუნავენ, შემდეგ კი ცოლშვილი გაყავთ. თუ ჩვენი თამბაქოს ფასი დაეცა საზღვარ გარეთ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვის თამბაქოზედაც არ დაეცა. თამბაქოზე საერთოდ დაეცა ფასები.

დეკრეტი მიღებულ იქნა.

**განგრძობა მსჯელობისა სახელმწიფოს 1919—1920 წლის ბიუჯეტის შესახებ.**

**შენგელაია.** ამ სამი წლის განმავლობაში პირველათ გვეძლევა შემთხვევა დავსვათ საკითხი შემოსავალ-გასავლის შესახებ. ბურჟუაზიული პარლამენტები წინა რიცხვით ამტკიცებენ ხოლმე ბიუჯეტს. საბიუჯეტო უფლება ეს არის აღვირი, რომელშიაც იმორჩილებს საკანონმდებლო ორგანო აღმასრულებელ ორგანოს. დღეს მთავრობას წარმოდგენილი აქვს ძველი დახარჯული კვიტანციები და ითხოვს მის დადასტურებას. ეს ბიუჯეტი არის მეტად თავისებური. არავითარი გეგმა მეურნეობის აქ არ არის. ბიუჯეტი წარმოდგენილი არის სოციალისტურ მთავრობისაგან და გვეგონა სოციალისტური ეკონომიკა იქნებოდა. ნამდვილათ კი არაფერი ამის მსგავსი არ არის. აქ ლაპარაკი არის არაპირდაპირ გადასახადებზე, ბაჟებზე, მაგრამ ერთი სიტყვაც არ არის აქ ნათქვამი რაიმე ახალ ღონისძიებაზე. ეკლესიის საჭიროებაზე იხარჯება მილიონობით და ნუ თუ ძნელი იყო ეკლესიის ჩამოშორება სახელმწიფოსაგან. ეს ხომ უბრალო უფლებრივი რეფორმა არის, რომელიც დაცყარებულია ძალთა განწყობილებაზე და ნუ თუ სამღვდელოებას ისეთი ძალა ჰქონდა, რომ ვერ შესძლებ ეკლესიის გამოყოფა. ბიუჯეტში ლაპარაკი არის მიწების გაყიდვაზე და ნუთუ იმ ქვეყანაში, სადაც სივიწროეა, მიწების გაყიდვაზე შეიძლება ლაპარაკი. (ადგილიდან: მერე სად ვყიდით, იცით?) ბიუჯეტში ლაპარაკი არის არა პირდაპირ გადასახადზე. ეს არის რეაქციონური ზომა. სოც. დემოკრატიას, რომელიც მოექცა მოულოდნელათ სახელმწიფოს სათავეში სამი შესაძლებლობის გეზი ჰქონდა: ეს არის ბურჟუაზიული პოლიტიკა ბურჟუაზიულ ეკონომიკით, მეორე ბურჟუაზიული პოლიტიკა სოციალისტურ ეკონომიკით. მესამე სოციალისტური პოლიტიკა სოციალისტურ ეკონომიკით. ორატორის აზრით სოციალ-დემოკრატიის, როგორც პოლიტიკა, ისე ეკონომიკა ბურჟუაზიულია. შემდეგ ორატორი კვლავ ეხება არა პირდაპირ გადასახადს მისი აზრით პირდაპირ გადასახადს. გლეხობა არ გადიხდის, რადგანაც არ არის დარწმუნებული, რომ მისი საქმე კეთდება. ბურჟუაზია გადასახადს გადაიტანს მომხმარებელზე და, თუ რეპრესიებს მიმართავთ ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ეს გამოიწვევს სამოქალაქო ომს, რასაც თქვენ ასე ერიდებითო. მდგომარეობის გამოსწორება შეიძლება ეკონომიურ პოლიტიკის შეცვლით. უწინ მთავრობა კერძო ინიციატივას ემყარებოდა, რაც კარგა ხანს გაგრძელდა. სპეკულიაციამ და აუტანელმა სიძვირემ აიძულა მთავრობა სხვა გზას დასდგომოდა. ეს იყო ხანა ნებართვის და ხელშეკრულების. შემდეგ მიიღეს მონოპოლია, რაც ვერ გატარდა სათანადოთ. ერთად ერთი გზა არის: სოციალისტურმა მთავრობამ სოციალისტური საქმე უნდა აკეთოს. თვით სოციალიზმში არის მაქსიმუმი და მინიმუმი. ჩვენ შეგვიძლია მინიმუმი განვახორციელოთ. საჭიროა მთავრობა ფართოთ ჩაერიოს ეკონომიურ ცხოვრებაში, რომ ვისაც უნარი აქვს მუშაობდეს და ქმნიდეს ღირებულებას. ბალშევიკებმა რომ ვერ გაატარეს შრომის ბეგარა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი არ ვარგოდეს. ბალშევიკების მეთოდები იყო უვარგისი და ეს არის მიზეზი, რომ ის შრომის ბეგარა არ განხორციელდა. შემდეგ ორატორი ეხება რა ხარჯთ-აღრიცხვას, აღნიშნავს, რომ მართალია სახელმწიფო კონტროლი არ სდგას სათანადო სიმაღლეზე, მაგრამ მასაც არ უჯერებენო და მის მოთხოვნილებისამებრ ანგარიშებს უწყებები არ უდგენენო.

სიგვიანის გამო შენგელაიას სიტყვის დასრულება გადაიდო შემდეგ სხდომისათვის.

## „წითელ" აზერბეიჯანში

(გაზეთებიდან)

**პური.** ბაქოს და მისი საწარმოვო რაიონების მცხოვრებნი დაყოფილი არიან 3 სასურსათო კატეგორიად. პირველ კატეგორიაში შედიან პირნი, რომლებიც ფიზიკურათ მუშაობენ—სულ 90 ათასი კაცი, მეორე კატეგორიაში პირველი კატეგორიის პირთა ოჯახის წევრები და საბჭოთა და სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებების მოსამსახურენი ოჯახებითურთ სულ 180 ათასი სული; მესამე კატეგორიაში—სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებების პატრონნი და ისინი, რომელნიც სხვისი შრომით ცხოვრობენ. მათი რიცხვი 70 ათასს სულს შეადგენს. ინდივიდუალურ სასურსათო ბარათების შემოღებამდის მთელი სურსათ-სანოვაგე ნაწილდება ქალაქის სასურსათო კომიტეტის მიერ სახლის კომიტეტების შემწეობით, რომლებიც უკვე მოწყობილია, როგორც ქალაქში, ისე საწარმოო რაიონებში, ეხლა სახლის კომიტეტების საშუალებით ანაწილებენ საწარმოო რაიონებში პურს, შემდეგნაირათ: ფიზიკურ შრომის მუშებს—$1^1/_2$ გირ. და მის ოჯახის ყოველ წევრს—1 გირ. ქალაქში კი, რაკი პური არ იშოვება, ეძლევათ ბრინჯი 1-ლ კატეგორიაში ჩარიცხულებს 1 გირვანქა, მე-2 ნახევ. გირვანქა, მე-3 კატეგორია ჯერ არაფერს ღებულობს. დაახლოვებითი ანგარიშით თუ ქალაქის სასურსათო კომიტეტმა ყველა მცხოვრებლებს დაურიგა პური 1 კატეგორიას სულზე $1^1/_2$ გირ., მე-2 კატ. 1 გირ. და მე-3 $^1/_4$ გირ., მას დასჭირდება ყოველ დღიურათ 6 ვაგონი ფქვილი, ე. ი. 6 ათასი ფუთი. ეხლა კი ქალ. სას. კომ. იღებს ნარკომპრომიდან დღეში 2,000 ფუთს ფქვილს (2 ვაგონს); იქიდან 1840 ფ. რიგდება საწარმოო რაიონებში, დანარჩენი 160 ფ. ფქვილი (რომლიდან ცხვება 300 ფ. პური) ნაწილდება ლაზარეთებსა, საავათმყოფოებს თავშესაფარებსა, ცეცხლის მქრობელ რაზმსა და სხვა დაწესებულებებს შორის.

თუ რით იკვებება დანარჩენი მცხოვრებნი, ეს ალბათ, ალლახმა უწყის...

## საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

24 ივლისი.

**ვარშავა.** პოლონეთის მთავრობამ 20 წლის ვადით ამერიკაში 5%-იანი 55 მილ. დოლარი სესხი აიღო პოლონეთის ტერიტორიაზე ამ ჟამათ ბევრ ადგილას გაჰყავთ რკინის გზები. სხვათა შორის აკეთებენ შემოკლებულ ხაზს ლოძსა და დანციგის შორის. განზრახულია აგრეთვე რკინის გზის გაყვანა კრაკოვიდან კარპატებისაკენ.

**პარიზი.** „ჟურნალი" სწერს: პოლონეთის საერთაშორისო მდგომარეობა ამ ჟამად მეტად მძიმეა. მაშინ, როდესაც აღმოსავლეთით მას ბალშევიზმი ემუქრება, ამავე დროს მას გერმანიის მხრივ არა აქვს არავითარი გარანტია იმისა, რომ საზღვრები არ იქნება გადალახული.

**მოსკოვი.** გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატმა გამოსცა „წითელი წიგნი", რომელშიაც მოყვანილია ყველა ის დოკუმენტი და მიწერ-მოწერა, რომელიც არსებობდა რუსეთსა და პოლონეთს შორის 1918—20 წლის განმავლობაში. წინასიტყვაობა დაწერილია ჩიჩერინის მიერ. იგი ამბობს; წიგნის მიზანი არის გააცნოს ფართო საზოგადოებას ისტორია რუსეთსა და პოლონეთს შორის არსებულ პოლიტიკური დამოკიდებულებისაო. ჩიჩერინი სწერს: საბჭოთა მთავრობა თავის პრინციპებს და ძალა უფლებას არავის არ ახვევს თავზე, ვინაიდან რუსეთი ყოველ დროს თვითგამორკვევის უფლებას აღიარებს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების დროსაც ტროცკიმ საქვეყნოთ განაცხადა, რომ რუსეთი სცნობს პოლონეთის დამოუკიდებლობას და ამიტომ ამ ჟამად არსებულ ომში ხელი დაბანილი აქვსო და სხვა.

**ნიუ-იორკი.** სენატორების კრებაზე მაკ გაუმბერმა დემოკრატიულ პარტიის სახელით მეუხარება გამოსთქვა იმის გამო, რომ ვილსონის მეოხებით შეერთებულმა შტატებმა დაკარგეს ის უპირველესი როლი, რომელსაც ამერიკა ომის დროს თამაშობდა. გუმბერი ემხრობა მოკავშირეთა დაახლოვების აზრს, რომ ამ გზით იქნეს მოწესრიგებული თანამედროვე ცხოვრების რთული საკითხები. ევროპის აღდგენა ძნელი იქნება, თუ ამერიკა გვერდზე დარჩა, ვინაიდან მხოლოდ ამერიკას შეუძლია იმ ქვეყნების გამოკვება, რომლებიც ამ ჟამად დიდ გაჭირვებას განიცდიან. ამერიკამ უახლოესი მონაწილეობა უნდა მიიღოს ხალხთა ლიგის მუშაობაში. სენატორმა ხიჩ კუკმა განაცხადა, რომ ამერიკა არასდროს არ აპატიებს ვილსონს იმ პოლიტიკას, რომელსაც იგი ზავის შეკვრის დროს აწარმოებდაო.

**კოპენჰაგენი** ივლ. 7. „ტელეგრაფში" პროფესორი ნირმერი ეხება რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების საკითხს და ამბობს: დრო არის თვალი გამოვახილოთ და ფხიზლათ შევაფასოთ რუსეთის თანამედროვე მდგომარეობა. რუსეთი დასავლეთს ვერ მისცემს ვერავითარ ნედლ მასალასა და რაიმე ნაყოფს. რუსეთი კი არა, უკრაინაა დასავლეთ ევროპისათვის საჭირო. წინათაც რუსეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს შემოჰქონდა ევროპაში ნედლი მასალაო. უკრაინის 9 გუბერნიას, რომელსაც ევროპის რუსეთის მხოლოდ $^1/_6$ ნაწილი უჭირავს, წინეთ რუსეთის ხორბლისა და ნედლი მასალის 44% გაჰქონდაო. ამიტომ უკრაინას რომ მივსცეთ მიწადმოქმედებისათვის საჭირო მანქანები, იგი სულ მალე ფეხზე დადგება, მით უმეტეს, რომ საქონლის გატანა მისთვის შესაძლებელი იქნება შავი ზღვით. სასურველია, ათავებს თავის წერილს ნირმერი, რომ ხალხთა ლიგის საბჭომ შეადგინოს საგანგებო კომისია უკრაინის მდგომარეობის გამოსარკვევადო.

**ვენა.** ივლ. 6. ვენაში არსებული უკრაინელი გაზ. „უკრაინსკი პრაპორი" იუწყება უკრაინაში საფრანგეთის სამხედრო მისიის მისვლის შესახებ. მისიის სათავეში სდგას გენ. მასსენე, რომელსაც მინდობილი აქვს უკრაინის ჯარის რეორგანიზაცია. ჯარის რეორგანიზაცია უკვე მოხდა. ჯარი შევსებულია მოხალისეებით. სამხედრო მინისტრის ამხანაგათ დაინიშნა გენ. კუდრიავცევი.

**სტოკჰოლმი.** სამინისტროს ნებართვით მწარმოებელთა კავშირმა საბჭოთა რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულება განაახლა. უკვე დატვირთულია საგანგებო გემი შვეციის საქონლით, უმთავრესად სამეურნეო ინსტრუმენტებით და მანქანებით. განზრახულია ყოველ კვირაში ასეთი ტრანსპორტის გაგზავნა.

**პარიზი.** შვეიცარიამ და ჰოლანდიამ უმაღლეს საბჭოს განაცხადება გაუკეთეს იმ ზარალის ანაზღაურების შესახებ, რომელიც მათ საბჭოთა რუსეთში ნახეს.

**ლონდონი.** „დეილი ტელეგრაფი" იუწყება: თანახმად კენისბერგიდან მოსულ ცნობებისა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ახალი გალაშქრება მზადდება. საგრძნობი რაოდენობის ჯარია კენისბერგის გარშემო თავმოყრილი. ჯარის მატერიალურად უზრუნველყოფა რუსეთის პოლიტიკურ მოღვაწეს ა. გუჩკოვს აქვს დაკისრებულიო.

**ბერნი.** მიუხედავათ იმისა, რომ ცხოვრება შვეიცარიაში ამ უკანასკნელ ხანებში 20% გაიაფდა, შედარებით 1915 წელთან იგი მაინც 220% არის გაძვირებული.

**ბათომი.** ივლ. 23 (საქ. კორესპ.). ბათომში მყოფ აზოვისა და შავი ზღვის მეზღვაურთა საზოგადოების წარმომადგენელმა ყირიმში მყოფ მთავარ გამგეობიდან მიიღო დეპეშა იმის შესახებ, რომ მიღებულია ზომები შავ ზღვაზე სწორი მიმოსვლის აღსადგენათ. ივლისის დამლევს ფოთსა და ბათომში მოვა სევასტოპოლიდან, იალტიდან, ფეოდოსიიდან და კერჩიდან წამოსული პურითა და ქერით დატვირთული გემები. პირველად მოვა გემი „ვოზროჟდენიე". ეს ამბავი ემცნო რესპუბლიკის მთავრობას. უმთავრესად ივლის სავაჭრო ტრანსპორტები. ჩამოტანილი საქონელი საქართველოში საქონელზედვე გადაიცვლება.

**ბათომი,** ივლ. 23. (საქ. კორესპ.) ავტორიტეტული წყაროებიდან იუწყებიან, რომ ინგლისის პოლიტიკა კვლავ ვრანგელის სასარგებლოდ შეტრიალდა: რადგანაც კრასინის მოლაპარაკებამ ინგლისთან უშედეგოთ ჩაიარა, ამიტომ ინგლისმა განაახლა ვრანგელის დახმარება. გენ. ვრანგელის ჯარებს მეტად ინტენსიურად აწვდიან საჭირო მასალებს.

**ბაქო.** 23 ივლ. (საქ. კორესპ.) ამ ბოლო ხანებში ძლიერ გაცუდდა სპარსეთის ბაზრის მდგომარეობა. მსხვილმა სავაჭრო დაწესებულებებმა შესწყვიტეს თავისი მოქმედება. მუშაობა შეჩერებულია აგრეთვე თევზის საჭერ ადგილების უმეტეს ნაწილში. სპარსეთის მთავრობამ აკრძალა ხორცეულობის გატანა და შინაურ საქონლის გაყვანა სპარსეთის საზღვრებიდან.

**ბათომი.** ივლ. 23. (საქ. კორესპ.) მიღებული სარწმუნო ცნობების თანახმად ინგლისისა და ციმბირის მწარმოებელთა შორის გაცხოველებული სავაჭრო დამოკიდებულება არსებობს. განსაკუთრებულმა კომისიამ კოოპერატიულ კავშირთა წარმომადგენლებთან ერთად ინგლისში გაიტანა მატყლი, სელი, ხე-ტყე და სხვ.; სამაგიეროდ ინგლისიდან ციმბირისათვის მოიტანეს მანუფაქტურა, ინსტრუმენტები და სხვა.

## დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

23 ივლისი.

**ფრანგული ცნობები.**

**ტელეფონის ქსელი.**

საფრანგეთის მთავრობამ დეპუტატთა პალატის ბიუროში შეიტანა კანონ-პროექტი პარიზსა და დეპარტამენტში ტელეფონის ქსელის გაფართოების შესახებ. „პტი-ჟურნალი" სწერს: ტელეფონის ქსელის სიგრძე 1914 წ. უდრიდა 130,000 კილომეტრს, გერმანიისა კი 678,220 კილ. და ინგლისის 234,307 კილომეტრსა. ტელეფონის აპარატი იყო საფრანგეთში 3 9.572, ინგლისში 760,732, საფრანგეთში 309.572 ტელეფონის ქსელის შესაკეთებლად საჭიროა სესხად 111,800,000 ფრანკი, რომელსაც 10 წლის განმავლობაში გადაიხდიან. მუშაობის პროგრამა 5 წლის განმავლობაში დასრულდება.

**მარსელის ნავთსადგურში კომერციული მოძრაობა.**

1920 წლის პირველ ტრიმესტრში გემების რიცხვი უდრიდა 1919—წელში 2162, 1920 წელში . . . . . (გამოტოვებულია) ტონაჟი უდრიდა 1919 წელში 2.279,529, 1920 წელში 3,281,409. საქონლის წონა—1,660.217, 1919 წელში მგზავრთა რიცხვი უდრიდა 19,2—249 და 1920 წელში—175,672.

1919 წლისა და 1920 წლის ციფრების ერთმანეთთან შედარებით გამოდის, რომ ტონაჟი საქონლისა და გემების რიცხვი შესამჩნევად იზრდება მგზავრების შემცირება კი ბრალია დემობილიზაციისა, რის გამოც მრავალი ტრანსპორტი გაიგზავნა აღმოსავლეთისაკენ.

**ყარაბახში და ზანგეზურში**

თეირანიდან მოსული ცნობით ბალშევიკების მეორე არმიამ მიიღო შეტევაზე გადასვლის ბრძანება. მან ყარაბახი დაიჭირა. ჯარი განაგრძობს შეტევას ზანგეზურზე მან დაიკავა გერუსი და ქემალისტებთან შეერთებას ცდილობს.

**გენ. გუროს ულტიმატუმი ემირ ფეისალს**

გენ. გუროს მიერ წარდგენილი ულტიმატუმი ემირ ფეისალის მიმართ შემდეგში მდგომარეობს: 1) რეიაკის გზაზე საფრანგეთის კონტროლის დაწესება, 2) სად. სომსის, ხამახის, და ქალ. ალეპოს ოკუპაცია, 3) სირიის მანეთის აკცეპტაცია, 4) საფრანგეთის მანდატის მიღება და 5) დამნაშავე რევოლიუციონერთა დასჯა. მიცემული ვადა ივლისის 21 გათავდა.

**საფრანგეთის ჯარები ისმიდში.**

„მატენი" იუწყება ისმიდში საფრანგეთის ჯარი გადასხსო.

**ინგლისის პასუხი რუსეთს.**

რეიტერის სააგენტოს ცნობით დღეს ინგლისი პასუხს გასცემს რუსეთის ნოტას პოლონეთთან დროებითი ზავის შეკვრის შესახებ.

**ფრაკიაში.**

გაზეთები იუწყობიან ბერძნების მიერ ფრაკიაში დაწყებულ ოპერაციების და კონსტანტინოპოლ ადრიანოპოლის ხაზის ოკუპაციის შესახებ.

**სულთანი და ხელშეკრულება.**

კონსტანტინოპოლიდან მოსული ცნობით სულთანს გუშინ უნდა მიეღო გადაწყვეტილება ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის შესახებ.

**ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა აუცილებელია.**

„ტანის" კორესპონდენტი კონსტანტინოპოლიდან იუწყება: საფრანგეთის უმაღლეს კომისართან საუბრის შემდეგ დიდმა ვეზირმა შეკრიბა მთავარი სენატორები და აღნიშნა, რომ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა აუცილებელიაო.

**რუმინეთი და მოკავშირენი.**

„დეილი-ტელეგრაფის" ბუხარელი კორესპონდენტი იუწყება: რუსეთი წინადადებას მისცემს მოკავშირეებს, განსაკუთრებით ინგლისსა და საბერძნეთს, აზიაში საგრძნობი სამხედრო რაზმის გაგზავნის შესახებ.

**ხალხთა ლიგა.**

ლონდონიდან იუწყებიან: პრეზიდენტმა ვილსონმა ნოემბრის 15-ისათვის ჟენევაში ხალხთა ლიგის სხდომა დანიშნა.

**გერმანია და სპას კონფერენცია.**

ბერლინიდან მოსულ ცნობების თანახმად, გერმანულ სახელმწიფოთა საბჭოების თავმჯდომარეთა სხდომამ ოფიციალურად განაცხადა, რომ გერმანიამ უნდა მიიღოს ყოველგვარი ზომები და განახორციელოს ის ვალდებულებანი, რომელიც მან სპას კონფერენციაზე თავის-თავზე მიიღო.

**კანონპროექტი რესპუბლიკი ჯარების შესახებ.**

ბერლინიდან იუწყებიან, რომ კანონპროექტს, რომელიც სახელმწიფო ჯარებს ეხება, იხილავს სახელმწიფოს საბჭო. განხილვის შემდეგ იგი ივლისის 26 რეიხსტაგს გადაეცემა.

**ულტიმატუმის დაკმაყოფილება.**

საფრანგეთის პრესა ბეჭდავს ბეირუტიდან მოსულ ცნობას იმის შესახებ, რომ ემირმა ფეისალმა გენერალ გუროს მიერ წარდგენილი ულტიმატიური ხასიათის ყველა მოთხოვნილებების მიიღო.

**გერმანული ცნობები.**

(გამოგზავნილია ინგლისურ ენაზე, ნაუენიდან)

**პრინც იოახიმის თვითმკვლელობის გამო.**

სასკანდალო ამბების გამომჟღავნების შიშმა და მეუღლესთან მოსალოდნელმა გაყრამ გამოიწვია პრინცი იოახიმის თვითმკვლელობა. ასეთია ბერლინელების აზრი, რომელთაც პრინც იოახიმის მწვავე ბედის შესახებ იცოდენ მას შემდეგ, რაც იგი დასტოვა მისმა მეუღლემ ანტანტის პრიცესსამ. შესაძლებელია, რომ ფინანსიურმა და პოლიტიკურმა დაბრკოლებებმა გააძლიერა მისი მელანქოლია, მაგრამ მის პირად მდგომარეობას, ამბობენ ისინი, იგი უსათუოდ ტრაგედიამდე უნდა მიეყვანა. გაყრა რომ საჯაროდ მომხდარიყო, როგორც ამას პრინცესა მოითხოვდა, გამომჟღავნდებოდა, რომ იოახიმი 1917—1919 წ. ნ. ელზასის არტილერიასთან კოლმარში დგომისას დროს ატარებდა ქეიფში და რომ იგი აქ შეიპყრო ისეთმა ავათმყოფობამ, რისგანაც მან მორჩენა ვერ შესძლო. იგი შეიპყრო განდიდების მანიამ. ამ ბოლო დროს მას არა ერთხელ უთქვამს თავის ნათესავებისა და მეგობრებისათვის, რომ მტრები ცდილობენ მის განდევნას ლიგნიცის ვილნიდან, რომელიც მას მთავრობამ მისცა საცხოვრებლად.

ის ხშირად ლაპარაკობდა იმის შესახებ, რომ მას თვითმკვლელობის ჩადენა სურს. მისმა სიკვდილმა ვერ შეაშფოთა ბერლინი. კაიზერი აცხადებს, ეს თვითმკვლელობა არის შედეგი ცუდ პოლიტიკურ მდგომარეობისაო.

## საბერძნეთის მისიის ცნობები

ივლისის 20 ბერძნების ჯარი მარმარილოს ზღვის ნაპირებზე გადმოსხდა ამ ჯარებმა როდოსტო დაიკავეს და (დამახინჯებულია).

ბულგარეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა განაცხადა, ბულგარეთი მტკიცე ლოიალურ დამოკიდებულებას დაიჭერს იმ ამბების მიმართ, რომელიც ფრაკიაში იწყებაო.

რუმინეთის მისია ოფიციალურათ უარყოფს იმ ცნობებს, რომლებიც ბალ-

შევიკების მიერ რუმინეთის წინააღმდეგ შეტევის დაწყებას შეეხება.

საავიაციო შეჯიბრებაში, რომელიც ანტვერპენში მოხდა, ფრანგმა ავიატორებმა მიიღეს პირველი ოთხი პრიზი.

გენერალმა გურომ ალეპოს, სომსისა და დამასკის მცხოვრებთა მიმართ გამოუშვა მოწოდება, რომელშიც იგი მიაწოდებს მათ შეუერთდენ ფრანგებს, რათა შეერთებული ძალით დააამშვიდონ უკიდურესნი, რომელთა ძალადობანი ხელს უშლის ქვეყნის მშვიდობიანობას.

# ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

**ოფიციალური ცნობა, თფილისი 23 ივლისი.** შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით დახურულ იქნა გაზეთი „გრუზია" მე-90 ნომერში დაბეჭდილი მოწინავე წერილისთვის, რომლითაც შეურაცხყოფა ეყენება საქართველოს რესპუბლიკასთან კეთილ-მეზობლურ განწყობილებაში მყოფ საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელს საქართველოში.

◆ **სასურსათო საქმეები.** ქალაქის თვითმართველობის სასურსათო განყოფილებამ გადასწყვიტა პურის გაყიდვის ნება დართოს მხოლოდ ფურნეებს, საკანდიტროებს და გასტრონომიულ მაღაზიებს. ეს გადაწყვეტილება იმით არის გამოწვეული, რომ აქამდის ვაჭრობა შინაურ დაწესებულებებში ხდებოდა. ქალ. თვითმართველობის სასურსათო განყოფ. დადგენილებით გადამყიდველებს სალდათის ბაზარზე დღის 1 საათამდე ვაჭრობა ეკრძალებათ. ქალ. საბჭომ დაამტკიცა ნიხრი ხახვზე. გირვანქა ხახვი უნდა გაიყიდოს 8 მან.

◆ **შრომის ბირჟის მოქმედება.** იანვრის 1-დან ივლისის 1-მდე შრომის ბირჟაში მისულა 27,295 უმუშევარი. წარსულ ნახევარ წლის ანგარიშთან შედარებით ბირჟის მოქმედება მეტად გაძლიერებულა. ამ ნახევარ წელში შრომის ბირჟისათვის 14,315-ით მეტ პირს მიუმართავს, ვიდრე წარსულ ნახევარში.

◆ **სამთო სამმართველოში.** თფილისში დასავლეთ ევროპიდან ჩამოვიდნენ იტალიისა და ბელგიის მსხვილ სამრეწველო ფირმათა წარმომადგენლები—ფრანსუა როდრიგერი—იტალიის სამთო უწყების მრჩეველი და ფლავიო როდრიგე—სამთო ინჟინერი. მათ ივლისის 22 ინახულეს სამთომადნო სამმართვ. უფროსი ინჟ. ყიფშიძე. იტალიისა და ბელგიის მრეწველთა წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ისინი მეტად დაინტერესებული არიან საქართველოს მადნეულობით და უმთავრესად ქვა-ნახშირისა და სპილენძის მადნეულობით და ნავთის წყაროებით. მათ განაცხადეს, რომ ისინი არიან წარმომადგენელნი მეტად დიდ ფინანსიურ და სამრეწველო დაწესებულებათა და რომ მათ შეუძლიათ ხელშეკრულობის დადება. სამთომადნო სამმართველოს უფროსმა გააცნო მათ რესპუბლიკის კანონები მადნეულობის, მისი ნაციონალიზაციის და მუშათა საკითხის შესახებ. მადნეულობის შესახებ ინჟ. ყიფშიძემ საერთოდ დაახასიათა რესპუბლიკის ის ადგილები, სადაც არის ნახშირი, სპილენძი, ნავთი და სხვ. სამთო მადნო განყოფილების უფროსის განცხადებამ მეტად კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მათზე.

◆ **საღამო-სეირნობა.** დღეს, 24 ივლისს, მუშათა ცენტრალურ კლუბში (პლეხანოვის პროსპექტი № 123) თფილისის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს სასარგებლოთ გაიმართება დიდი „საღამო-სეირნობა" ფართე პროგრამით. ბაღში დაუკრავს სამხედრო ორკესტრი. სეირნობა გაგრძელდება სამ საათამდი. დაწვრილებით აფიშებში.

◆ **დებულება გზათა მიმოსვლის დეპარტამენტისა.** გზათა მიმოსვლის დეპარტამენტში შეიმუშავეს დეპარტამენტის დებულების პროექტი. თანახმად პროექტისა მიწად-მოქმედების სამინისტროსთან არსდება გზათა მიმოსვლის დეპარტამენტი განცალკევებულ უწყების უფლებით. დეპარტამენტის გამგებლობაში შედის ყველა სახაზინო, საზოგადო და კერძო რკინის და შარა გზა, რომელსაც სტრატეგიული და საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. გამონაკლისს შეადგენს ქალაქის და ქალაქთან ახლო მდებარე გზები და აგრეთვე ნავთსადგურთა მმართველობა. დეპარტამენტის სათავეში სდგას დირექტორი, რომელიც საჭიროების დროს მიწათ-მოქმედების გზათა მიმოსვლის მინისტრის მოადგილეთ დარჩება. დეპარტამენტში სხვა განყოფილებათა გარდა იარსებებს დეპარტამენტისა და ინჟინერთა საბჭო.

◆ **სახელმწიფო უნივერსიტეტის** გამგეობამ უნივერსიტეტში შესვლის შესახებ სავალდებულო დადგენილებანი გამოსცა. მიღებული სტუდენტები ვალდებულნი არიან შემოდგომის სემესტრის 15 ოქტომბრამდის და გაზაფხულის სემესტრის 15 თებერვლამდის შეიტანონ სწავლის ფული. ყველა სტუდენტი პირველ ნოემბრამდის ვალდებულია სალექციო წიგნაკში ჩაწეროს ის სავალდებულო საგნები, რომლებსაც იგი ისმენს, თუ ეს სავალდებულო საგნები აღნიშნულ დრომდე სალექციო წიგნაკში არ იქნება ჩაწერილი, სტუდენტს სემესტრი არ ჩაეთვლება. გამოცდების ჩაბარება შეიძლება მხოლოდ იმ საგნებში რომელიც სალექციო წიგნაკში იქნება შეტანილი.

◆ **შრომის სამინისტრომ** მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღძრა მუშათა ორგანიზაციების საჭიროებისათვის ქუთაისში რიჟინაშვილის უძრავი ქონების გადაცემის შესახებ.

◆ **უნივერსიტეტის სამკითხველო.** უნივერსიტეტის გამგეობას მიღებული აქვს ზომები, რომ შემოდგომისათვის უნივერსიტეტის, სამკითხველო გაიხსნას. ამ ჟამად სამკითხველოში 100.000 ტომი წიგნი ითვლება. საზღვარ-გარეთიდან სპეციალურ წიგნების მისაღებად ზომებია მიღებული.

◆ **სავაჭრო-სამრეწველო პალატაში** წარადგინეს მოხსენება ზეთის მრეწველობის შესახებ. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ზეთის სამრეწველოები აქამდის უცხოეთიდან შემოტანილ ნედლ მასალას ხმარობდნენ, ეხლა კი ეს სამრეწველოები მოწყვეტილია ამ წყაროს და ამიტომ საჭიროა რესპუბლიკის საზღვრებში მოვიყვანოთ ნედლი მასალა და გადავსცეთ სამრეწველოებს, რომლითაც წელიწადში რამდენიმე მილიონი ფუთი ზეთის გაკეთება შეუძლიათ.

◆ **თფილისის პოლიტეხნიკური სასწავლებელი** იღებს თხოვნებს მექანიურ—წმინდა მექანიურ და ელექტრო-მექანიურ და სამშენებლო—გზათა სამშენებლო და სახუროთმოძღვრო განყოფილებებზე. თხოვნასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნეს: 1) 4 კლასის ატესტატი, 2) მეტრიკული მოწმობა, 3) სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების შესახებ. (თფილისი, დიდი მთავრის ქუჩა, № 70).

◆ **სასინჯო ზედამხედველობა.** სამთო-მადნო სამმართველოში აღძრულია საკითხი მთელ საქართველოში და აგრეთვე ბათომში სასინჯო ზედამხედველობის გაძლიერების შესახებ. ამის გამო სამთო სამმართ. სამხედრო უწყების წინაშე აღძრა შუამდგომლობა სპეციალისტ მსინჯავთა სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ.

◆ **სავაჭრო პალატა ბათომში.** ბათომში მყოფ ვაჭარ-მრეწველთა კლასის წარმომადგენლებმა საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებს შუამდგომლობით მიმართეს ბათომში სავაჭრო პალატის გახსნის შესახებ: ამ შუამდგომლობას ასაბუთებენ მით, რომ სავაჭრო პალატის დაარსება ბათომში საქონლის შემოტანას და გატანას მოაწესრიგებსო. შუამდგომლობა განსახილველად სათანადო სამინისტროებს გადაეცა.

◆ **განკარგულება გაიცა** მატარებელთა მიმოსვლაზე ზედამხედველობის გაძლიერების შესახებ.

◆ **მადნეული წყლების გამოკვლევა.** მიწად-მოქ. სამ. თხოვნით სამთო სამართ. მადნეული წყლების გამოსაკვლევათ კახეთში გააგზავნა ინჟ. და მკვლევარი დ. კონიუშევსკი. მასთან გაემგზავრენ მიწ. მოქ. სამინ. წარმომადგენლები. ამის შემდეგ სამთო სამმარ. კომისიას მადნეული წყლების გამოსაკვლევათ გააგზავნის ბორჯომ-აბასთუმანსა და ახალციხე-ახალქალაქს.

◆ **„განათლება"**, ყოველთვიური სამეცნიერო საპედაგოგიო ჟურნალი №№ 4 და 5—(აპრილისა და მაისის) რედაქციამ მიიღო.

◆ **ბათომიდან დაბრუნდნენ** 22 ივლისს შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი, განათლების მინისტრის ამხ. ნ. ცინცაძე, შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელ. დირექტორი ს. გეგელაშვილი და ჯანმრთელობის დეპარტამენტის დირექტორი ს. ჯაფარიძე.

◆ **მიწად-მოქმედების სამინისტროში.** თფილისში დაბრუნდა სასოფლო მეურნეობისა და სახელმწიფო მამულების ინსპექტორი ეგოროვი, რომელმაც დაათვალიერა წინანდალისა და მუკუზანის რაიონები. ეგოროვმა განაცხადა, რომ ხშირი წვიმების გამო ამ რაიონებში ვენახებში ვაზის ავათმყოფობა გავრცელდაო. ავათმყოფობა უფრო გლეხებისა და კერძო მესაკუთრეთა ვენახებშია გავრცელებული. სახელმწიფო მამულები უკეთეს მდგომარეობაშია. თავის დროზე მიღებული ზომების გამო მათ ავათმყოფობა სულ არ ემჩნევა. კარგი ვენახებია ველისციხესა და კარდანახში.

**კ რ ე ბ ე ბ ი.**

დღეს, 24 ივლისს, საღამოს 6 ს. დანიშნულია ს. ს.-დ. მ. პ. მეორე რაიონული კოლექტივის ქალთა ბიუროს მორიგი სხდომა.

— შოფერების კავშირის გამგეობა სთხოვს ამხანაგებს დაესწრონ კავშირის წევრთა საერთო კრებას, რომელიც შესდგება კვირას, 25 ივლის მეექვსე კოლექტივის კლუბის შენობაში (ბებუთოვის ქ. № 22).

# ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ Ნ. ᲟᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐ ᲑᲝᲠᲯᲝᲛ-ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔ-ᲐᲑᲐᲡᲗᲣᲛᲐᲜᲨᲘ

კვირას, ივლისის 18-ს, ბორჯომში ჩამოვიდა მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია. მატარებლის მოსვლისას სადგურზე საპატიო ყარაული ჩამწკრივდა. მთავრობის თავმჯდომარეს შეხვდნენ: ქალაქის თავი ვ. ღლონტი, ახალციხის სამაზრო ერობის თავმჯდომარე ნიკოლაიშვილი და დიდძალი საზოგადოება. ბორჯომიდან ნ. ჟორდანია აბასთუმანს გაემგზავრა. გზებში ადგილობრივმა მცხოვრებლებმა გირლიანდებითა და ეროვნული დროშებით შემკული თაღები მოაწყვეს. ნ. ჟორდანიას სოფლელები პურ-მარილით ხვდებოდნენ. ახალციხეში მთავრობის თავმჯდომარეს წარუდგა ადგილობრივ მცხოვრებ მუსულმანთა დელეგაცია, რომელთანაც ნ. ჟორდანიას ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა. დელეგაციამ მას მადლობა გადაუხადა, და განუცხადა, რომ სახელმწიფო და საზოგადომბრ ადგილობრივი ორგანოები მცხოვრებთა მოთხოვნილებებს ყურადღებით ეპყრობიანო. ნ. ჟორდანიას ხალხი პურმარილით შეხვდა აბასთუმანშიც, ყველა ქუჩა და ხალხი ყვავილებით და მწვანე ულობით შემკეს. (სდს).

# ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

(მოწოდება გერმანიიდან)

რუსეთში ანარქიის გამეფების, სასწავლებელთა არა ნორმალური მუშაობის და სამიმოსვლო საშუალებათა მოსპობის გამო, ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში მრავალი ასეული ქართველი მოსწავლე ახალგაზრდა საშუალება მოკლებული დარჩა დაწყებული სწავლა რუსეთშივე გაეგრძელებია.

ერთმა ნაწილმა თფილისში არსებულ უმაღლესს სასწავლებლებს შეაფარა თავი, ნაწილი ნივთიერი საშუალებათა სივიწროვის გამო სრულებით შეჩერდა, ხოლო მცირედმა ნაწილმა დასავლეთ ევროპას მიაშურა.

რუსეთში შიმშილ-წყურვილს დაჩვეულმა, ათასგვარ გაჭირებაში გამორეულმა მოსწავლე ახალგაზრდობამ იმ იმედით, რომ ევროპაში თავისი შრომით შესძლებდა თავის რჩენას, როგორც ეს რუსეთის სინამდვილეში ხშირათ ხდებოდა, თავი გადასდო სწავლის შესაძენათ, უკანასკნელი გროშებით სხვადასხვა ქალაქების უმაღლეს სასწავლებელში სწავლა დაიწყო.

ამ იმედით გამომგზავრებული ამ ჟამად გერმანიის სხვადასხვა ქალაქებში იმყოფება რამოდენიმე ათეული ქართველი სტუდენტი, რომელთა იმედი თავისი შრომით არსებობის შესახებ გერმანიის სინამდვილემ სრულიად გააქარწყლა. უცხოელთათვის სამუშაოს მიწოდება და დახმარების ალმოჩენაზედ გერმანიაში დღეს-დღეობით ფიქრიც არ შეიძლება, ვინაიდან რამოდენიმე ათეული ასიათასი თვით გერმანელი უმუშევარი იმყოფება სახელმწიფოს სხვადასხვა დაბა-ქალაქებში და საგრძნობელი ნაწილი თვით გერმანიის ხალხისა დღეს შიმშილს განიცდის.

ასეთ პირობებში რა დარჩენიათ მათ, ვისაც მშობელთა და ნათესავთა დახმარებაზედ ოცნებაც კი არ შეუძლიათ? ხელცარიელი საქართველოში უკან დაბრუნება, დასახულ მიზანთა გაქარწყლება, გაცამტვერება.

ზოგიერთი მათგანი ორი წელია აქ იმყოფება,—მათ შუაგზაზედ უნდა შესწყვიტონ ძლივ-ძლივობით, საშინელი გაჭირვებით განვლილი წლების მუშაობა... საქართველოს დემოკრატიამ, მისმა მთავრობამ დღევანდელ საზღაპრო პირობებში, როდესაც ჩვენი ვალიუტა მეტისმეტად დაცემულია, როდესაც შინაური ეკონომიური ცხოვრება დიდ კრიზისს განიცდის, შესძლო 75 მოსწავლის ევროპაში გამოგზავნა. ამით მან თავისი ვალი ღირსეულათ მოიხადა. ...მაგრამ მიუხედავათ ამისა, მიუხედავათ საშინელი გაჭირებისა, მაშინ, როდესაც გორი დანგრეულ-განადგურებულია, რამოდენიმე ათეული ასი ოჯახი დასტირის თავიანთ განადგურებულ კერას, შეხიზნულია თავიანთ მოძმეთა ოჯახებში, და ყოველ მხრიდან მომდგარი ხმალ ამოღებული მტერი ახლად აღორძინებულ დემოკრატიულ საქართველოს სხეულის გაკვეთას ლამობს,—ჩვენ ვკადნიერდებით და მივმართავთ ქართველ გულშემატკივარ საზოგადოებას თხოვნით, შევიდეს გაჭირვებულ მოსწავლეთა მდგომარეობაში, რომელთა მომავალი მტლათ დაედება საქართველოს კეთილდღეობას, და თავისი წვლილით ხელი შეუწყოს მათ მიერ სწავლის გაგრძელებას.

ყოველივე საზოგადო და კერძო დაწესებულებებს და პირებს ვსთხოვთ ყურად იღონ ჩვენი მიმართვა და თავისი წვლილით ხელი შეუწყონ საქართველოს მერმისის შემქმნელს, დღეს ევროპის კულტურას დაწაფებულ ახალთაობის აღზრდას.

ყოველივე წვლილი ღრმესი მადლობით მიიღება სავარეო საქმეთა სამინისტროს საშუალებით ბერლინის ელჩის ვლადიმერ გიორგის ძე ახმეტელაშვილის სახელზედ.

**კომისიის წევრები:** ი. ნარსია (თავმჯდომარე), მ. ახმეტელაშვილი (თავმჯდომარის ამხ.), მ. იმნაიშვილი, ნ. იმნაიშვილი, ა. წულაძე, შ. შიშმელაშვილი, ი. გველესიანი (მდივანი).

# ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲒᲛᲘᲠᲔᲑᲡ

ე. ჯორდანია[illegible],
[illegible]ბუაძეს,
ალ. დი[illegible]
ვ. გოგუაძეს.
ტატე შუშიაშვილს.

[illegible], შვშა თქვენს სახელს!
გმირე[illegible] თქვენ[illegible] მშობელს
დიდება ერ[illegible]ავებისა,
და ძეგლად უკვდ[illegible]
ნეტარ ხსენება ამ სოფ[illegible]
აკაკი.

თავისუფლების რაინდებათ დაბადებულნი,
მზათა ხართ მისთვის სიკვდილსაც კი წინ შეეგებოთ!
და წმინდა დროშა, ერის დროშა, დროშა ხალხისა,
როგორც დილის მზე, წითელი მზე, ისე შეჰღებოთ!

რა წამსაც ცაში ავარდება ცეცხლი ბრძოლისა,
ველურთა ურდო მოაწყდება სამშობლოს კარებს,—
მყის აიშლებით თავ განწირულ გვარდიელებით
და ვეფხვებივით ეკვეთებით მოსისხარ ჯარებს!

გასრესავთ ყველას, ვისაც თქვენი გასრესა ჰსურდა!
მტერთა და ორგულთ შეანანებთ მტრულ დანაშაულს!
ომ-გადახდილნი დაბრუნდებით დედა-ქალაქში
და გადაიხდით რესპუბლიკის დიდ დღესასწაულს!

7 ივლისი, 1920 წ. — გ. ქუჩიშვილი.

# ᲡᲐᲥ. ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲐ ᲡᲐᲑᲭ. ᲠᲣᲡᲔᲗᲨᲘ

ხუთშაბათს, 22 ივლისს საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალ. საბჭოს აღმ. კომიტეტის და თფილისის სეკრეტარიატის გაერთიანებულმა სხდომამ გადასწყვიტა საბჭოთა რუსეთში გაიგზავნოს საქართველოს მუშათა დელეგაცია (10 კაცი), რომელიც ადგილობრივ გაეცნობა იქაურ საქმის მდგომარეობას და იმ პირობებს, რომელშიაც იმყოფება იქ მუშათა კლასი და, მეორეს მხრით, რუსეთის პროლეტარიატს გააცნობს საქართველოს მდგომარეობას, მის წესწყობილებას და ჩვენში მუშათა კლასის მდგომარეობას.

ამ მიზნით სხდომამ დაადგინა აღიძრას შუამდგომლობა დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმის წინაშე, რათა კანონმდებლობითი გზით გადაიდოს საჭირო თანხა ხსენებულ დელეგაციის გასაგზავნათ და დაევალოს ალმას. კომიტეტს დელეგაციის წევრთა ასარჩევათ ახლო მომავალში მოიწვიოს საქართ. პროფ. კავშირების ცენტრალური საბჭოს და იმ ცენტრების წარმომადგენელთა კონფერენცია, რომელიც ყრილობის შემდეგ შექმნილა,

# ᲞᲠᲝᲤᲔᲡ. ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲨᲘ

**თფ. პროფეს. კავშირების საბჭოს სეკრეტარიატის სხდომა.**

ხუთშაბათს, 22 ივლისს, ამხ. ხელაძის თავმჯდომარეობით შესდგა თფილისის პროფეს. კავშირთა საბჭოს სეკრეტარიატის სხდომა.

**სკოლის გარეშე განათლება.** კრებას მოხსენდა სკოლის გარეშე განათლების საზ—ების განცხადება, რომელშიაც სთხოვენ სეკრეტარიატს გამოსთქვას თავისი შეხედულება იმის შესახებ, თუ რამდენათ საჭიროა ხსენებულ საზ—ების მოქმედების გაგრძელება.

კრება ადგენს, ეს საკითხი განხილულ იქნეს შემდეგში სახალხო უნივერსიტეტის საკითხთან ორივე ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად.

**მუშათა კოოპერაცია.** ამხ. ი. ირემაშვილი მუშათა კოოპერაციის საკითხის გამო არჩეულ კომისიის სახელით სეკრეტარიატს მოახსენებს კომისიის მიერ შემუშავებულ თეზისებს. მცირე კამათის შემდეგ კრება ადგენს: ეს თეზისები მოხსენებით დაიბეჭდოს და დაეგზავნოს წინასწარ განსახილველათ კავშირებს, რის შემდეგაც მოხსენდეს თფილისის საბჭოს თფილისში ერთიან მუშათა კოოპერატივის დაარსების შესახებ.

**სასტუმრო „ჩრდილოეთის" ნომრების მეპატრონეთა განცხადება.** კრება ისმენს სასტუმრო „ჩრდილოეთის ნომრების" ბ. მ. ზელცერის და სიხარულიძის განცხადებას, რომ მათი მოსამსახურენი დაემორჩილენ სასტუმროს ახალ პატრონს, რომელსაც კანონით არ ეკუთვნის სასტუმრო. სეკრეტარიატი ადგენს, რომ ამ განცხადების განხილვა არ შედის მის კომპეტენციაში.

**მეტყავეთა კავშირი.** ამხ. ხელაძე მოახსენებს კრებას, რომ თფ. საბჭოდან გამორიცხულმა მეტყავეთა კავშირმა დაკეტა თავისი ოთახი და მიატოვა იგი. ეხლა ახლად შემდგარი და საბჭოს მიერ უკვე ცნობილ მეტყავეთა კავშირი თხოულობს, რომ ხსენებულ კავშირის ბინა, ინვენტარი და კასა მას გადაეცეს. სეკრეტარიატი აკმაყოფილებს ამ შუამდგომლობას და ავალებს პრეზიდიუმს სისრულეში მოიყვანოს იგი.

**ულარიბეს მუშათა ბავშვების გაგზავნა კოჯორში.** კრებას მოხსენდა, რომ „დედობის და ბავშვთა დაცველის საზოგადოების" წინადადებით საზაფხულოთ კოჯორში იგზავნება პროფეს. კავშირთა ულარიბეს წევრთა 5 ბავშვი. განცხადებას კრება ცნობათ ღებულობს.

**გორელ მუშების უპატრონო ბავშვების შენახვა.** ამხ. ა. ხელაძე კრებას მოახსენებს „დედობისა და ბავშვთა მომვლელ საზოგადოების" მომართვას სეკრეტარიატისადმი, რომ უკანასკნელმა გაიღოს წვლილი გორელ მუშების მუშების უპატრონო ბავშვთა მოსავლელათ, რომელნიც ამ ჟამად იმყოფებიან ხსენებულ საზ-ბის ბავშვთა თავშესაფარში. ირკვევა, რომ ასეთი ბავშვი ყოფილა 65. სეკრეტარიატი ადგენს: იმ თანხიდან, რომელიც თფილისის კავშირების მიერ შეტანილია „გორის ფონდში" ამ ბავშვების მოსავლელათ ხსენებულ საზოგადოების განკარგულებაში გადადის 100,000 მან. ამასთანავე სეკრეტარიატი მიზანშეუფერებლათ აღიარებს სოციალურ დახმარების ორი ერთგვარი ორგანიზაციის არსებობას და უფრო რაციონალურათ მიაჩნია მათი გაერთიანება ერთ ძლიერ ორგანიზაციაში.

**სეკრეტარიატის მოსამსახურეთა მიწერა საავათმყოფო კასაზე.** დასასრულ კრება ადგენს: სეკრეტარიატის მოსამსახურენი მიწერილ იქნენ საავათმყოფო კასაზე და მიეცეს წინადადება კავშირებს, რომ მათაც ჩასწერონ თავისი მოსამსახურენი საავათმყოფო კასის წევრებათ.

# ᲜᲔᲙᲠᲝᲚᲝᲒᲘ.

**სიმონ (სიო) ივანესძე გუჯაბიძე.**

17 ივნისს სოფელ ახალ-საყდარში (ოზურგეთის მაზრა) მიწას მიაბარეს ახალგაზრდა ადამიანი სიმონ ივანესძე გუჯაბიძე, რომელიც ხალხმა გულწრფელი ცრემლებით მიაცილა სასაფლაომდე.

ის იყო მეტად ღარიბი ოჯახის შვილი, განათლება მიიღო ბათომის სახელოსნო სასწავლებელში. ცხოვრების ასპარეზზე გამოვიდა 1904—5 წლებში, როცა შეუდგა რევოლიუციონურ მუშაობას. მაგრამ ცხოვრების ტალღებმა მეტად შორს გადაისროლეს ამხ. სიო. მან რუსეთის ცივ ქვეყნებში ამოჰყო თავი, სადაც ის დაავათმყოფდა და სამშობლოში დაბრუნდა „კოხის ბაცილებით" დაჯილდოებული. მას კვლავ სწყუროა დაუბრუნდეს თავის საყვარელ საქმეს, ხალხის სამსახურს, მაგრამ ამხ. სიო იძულებული ხდება მხოლოდ თავისი შერყეული ჯანმრთელობის აღდგენაზე იზრუნოს, და რომ მშობელთა ღარიბ ოჯახს მძიმე ტვირთად არ დააწვეს, ის შედის სხვადასხვა დროს სხვადასხვა სამსახურში უკანასკნელათ ის ოზურ[გ]ეთის სამაზრო ერობის მიერ გაწესე-[illegible] იქნა მასწავლებლად ხვარბეთის ... სკოლაში, სადაც დასცალდა დაწყებით [illegible] რამოდენიმე თვის სამსახური... მხოლოდ რამოდ[illegible] მოტანილმა მისმა აქ ცივი ქვეყნიდან [illegible] სიძლიერ ავათმყოფობამ მთელი თავ[illegible] უდროოთ გარით იჩინა თავი და ასე [illegible] გამოსალმა წუთისოფელს ეს ჩუმი, პატიოსანი და ყველასათვის საყვარელი ადამიანი და ეს კულტურული ძალა ჩაიკრა შავმა მიწამ თავის გაუმაძღარ გულში!. ის მსხვერპლია ხალხის თავისუფლებისა და კეთილდღეობის საკურთხეველზე მიტანილი!

და მისი ხსოვნა დაუვიწყარი იქნება ხალხის გულში!

ყ. ქარცივაძე.

# ᲓᲔᲞ. ᲐᲙ. ᲩᲮᲔᲜᲙᲔᲚᲘ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

დეპუტატი აკაკი ჩხენკელი 21 ივლის დაბრუნდა დასავლეთ საქართველოდან, სადაც მან დაჰყო 5 დღე. დეპუტატმა მოიარა ჭიათურა, ზესტაფონი, ქუთაისი, ტყიბული, ხონი, მარტვილი და სამტრედია და ყველგან გააკეთა მრავალრიცხოვან ხალხის წინ მოხსენება—საქართველოს და ამიერ-კავკასიის საერთაშორისო მდგომარეობაზე. ზესტაფონში, ტყიბულში და მარტვილში დეპუტატს გაუმართეს მიტინგები, სადაც სიტყვის წარმოთქმის შემდეგ მას ჰქონდა ბაასი ხალხთან სხვადასხვა საკითხებზე. ჭიათურაში და ზესტაფონში დეპუტატი გაეცნო დაწვრილებით წარმოების მდგომარეობას, დაათვალიერა ყველაფერი ღირსშესანიშნავი, გამოჰკითხა მუშებს მუშაობის პირობები.

# ᲩᲔᲛᲘ ᲐᲖᲠᲘ „ᲑᲐᲚᲨᲔᲕᲘᲙᲔᲑᲖᲔ"

როდესაც პეტროგრადში „ბალშევიკური" გადატრიალება მოხდა და ძალა უფლება ხელში ჩაიგდო „პროლეტარიატმა", როგორც ამას ბალშევიკები გაიძახოდენ და დღესაც კი ატყუებენ ქვეყანას, მაშინ კერენსკიმ ამას ძალით ჩაქრობა მოუნდომა და შემოტევაც კი დაიწყო. ეს ცნობა როცა თფილისში მოვიდა, სასწრაფო სხდომა მოხდა მუშათა დეპუტატებისა. და იქ მახსოვს მუშებმა ყველასათვის გასაგონათ სთქვეს: ბალშევიკებზე ძალით არავინ გაბედოს წასვლაო. თუმცა გადაჭრით ამტკიცებდენ, რომ ეს არ არის „პროლეტარიატის" გამარჯვება, არამეთ ავანტიურაა, რომლის წყალობითაც „პროლეტარიატი" განმარტოებული დარჩება ბრძოლის ველზე, რაც არაა ხელსაყრელი ამ პირობებში მუშათა კლასისთვისო. მეც სიამოვნებით ვეთანხმებოდი ჩვენი მუშათა კლასის მაშინდელ გადაწყვეტილებას. სამაგიეროთ მაღელვებდა ესერების დაჟინებული მოთხოვნა, „რომ კერენსკის ნაბიჯი გადადგმული პეტროგრადის მუშების წინააღმდეგ კრებას მოეწონებია. მე კი ვფიქრობდი, „ბალშევიკები" შეიგნებდნენ საქმის სერიოზულობას და დაადგებოდნენ ისეთ პოლიტიკას, რომლის მოხებით შესაძლებელი იქნებოდა მთელი დემოკრატიის გაერთიანება. და არა სრულიად წინააღმდეგ: შექმნიდა ორ მოსისხლე მტერს ერთი დემოკრატიიდან. რასაკვირველია, არ გამართლდა ჩემი აზრი. „ბალშევიკებმა" მაშინვე გამოაცხადეს თავისიანების დიქტატურა და ას ორმოცი მილიონი ხალხი ტერორს დაუმორჩილეს. და ამ გზით შეუდგნენ მუშათა კლასის „გაბედნიერებას", მხოლოდ ბურჟუაზიის მოსპობას. მათ შესძლეს უკანასკნელის შესრულება. რაც შეეხება მუშათა კლასს, თუ როგორ „გააბედნიერეს", დღეს ბრმამაც კი იცის. მე მინდა მკითხველს გავუზიარო ჩემი აზრის ცვალებადობა. რასაკვირველია მე არ მჯეროდა დიდი სიკეთე იმათი. მაგრამ არც ის მეგონა, თუ აგრე უსინდისოთ მოსპობდნენ და გააჩანაგებდნენ იმ ვიბერთელა ქვეყანას, რომელსაც რუსეთი ჰქვია. მუშათა კლასს ბედნიერების მაგივრათ, შიმშილით არაჭათ გამოაცლიდნენ და მუდმივი ავანტიურების წყალობით სისხლში ჩაახრჩობდნენ, მოსპობდნენ რევოლიუციის უდიდეს განძს—სიტყვისა და რწმენის თავისუფლებას. დიახ, მე ეს არ მჯეროდა და ეს იყო მიზეზი, როდესაც ადგილობრივი ავაზაკები თავდასხმას აწყობდნენ ადგილობრივ დემოკრატიაზედ ბალშევიკური სახელწოდებით, მე ეს გარემოება მაღელვებდა: თუ როგორ უტეხენ ეს ნაძირალები სახელს მართლა „ბალშევიზმს" მეთქი. მე არ მჯეროდა, თუ რამ საერთო იყო ადგილობრივ ყაჩაღებსა და რუსეთის „ბალშევიკებს" შორის, მაგრამ როდესაც ვნახე „კომუნისტ" ინგუშთა ლაშქარი კავკავში, შთაბეჭდილება შეიცვალა, აქ ნამდვილი ძმები ვნახე ჩვენებური ყაჩაღებისა, მაგრამ კიდევ საქმეს იმედიანათ ვუცქეროდი, რადგან რუსეთის მხედრობა „წითელი ამხანაგები" ჯერ კიდევ არ მენახა ამასაც ველირსეთ: ჩვენმა „თანამემამულე" ორჯონიკიძემ მთელი არმია (2 დივიზიიდან შემდგარი) სანახავათ გამოგვიგზავნა აქ. ცხადი შეიქნა, თუ ვისი „კომუნისტი" სჯობია, ჩვენი თუ რუსეთის?

სწორეთ ამ შედარების დროს დამარცხდა ჩემი შეხედულება საბოლოოთ რუსეთელ „კომუნისტს" უკეთესობაზედ, რომ აზროვნობითაც ოკრიბისა და ქვაბდის „კომუნისტებმა" აჯობეს ორენბურგელ დამონებულ გლეხს (ჯავის კაცი) და დამებადა კითხვა: რატომ ისინი უნდა ისხდნენ ციხეებში, თუ კი ესენი გაშვებულებია? თუ „ჩვენები" ყაჩაღებია—ესენი რაღა უკეთესები არიან? ასეთი იყო ჩემი ფიქრი,—როდესაც გავიგე საქართველოს მთავრობამ „ბალშევიკები" გაუშვა, მათი „ლეგალიზაცია" გამოაცხადაო. სასიამოვნო ამბავი მომხდარა, გაუზიარეთ ამხანაგებმა ერთმანეთს აზრი. გვიხაროდა, იქნება ბოლო მოეღოს—მათ ავანტიურას და მოგვეცეს საშუალება თავისუფლათ ამოვისუნთქოთ და ხელი მოვკიდოთ საყვარელ საქმეს, შრომას, მაგრამ როცა დავბრუნდი და ჩემის თვალით ვნახე „კომუნისტთა ორგანიზაცია", წამსვე შეიცვალა რწმენა მშვიდობიანი მუშაობისა, რადგან ყველა ქურდი, ყაჩაღი, შანტაჟისტი და მოღალატე, რომლის მიზეზითაც არა ერთხელ და ორჯელ ყოფილა „ფრონტი" და სისხლის ღვრა, არა ერთი და არა ათი ოჯახი დარჩენილა უპატრონოთ მაგათი ავანტიურის წყალობით ბითუმათ თავმოყრილი ვნახე კომ. ორ; დაუწყიათ „იდეური მუშაობა, გამოუციათ გაზეთი და ყოველივე №-ში ყოველივე სტრიქონზედ ამოიკითხავთ: ჩვენს ამხანაგებს ატუსაღებენ, ციხეებიდან წერილები—მოგვდის, გაიგონეთ მუშებო და გლეხებო. „სამართლიანი" ძახილია და მე, როგორც მუშამ მივაქციე რა ამას ყურადღება,—ვაცხადებ, არც—ერთი „ამხანაგი" არ უნდა იქნეს ციხეს გარეთ, რადგან პროვაკატორებისა და მოღალატეებისათვის სხვა—საშუალება არ მოგვეპოვება. ეს იცის ყოველმა გლეხმა, რომელსაც სურს თავისუფალი შრომა, ეს იცის მუშამ და საერთოთ მუშათა კლასმა და ამიტომ არის, რომ იბრძვის გაშმაგებით ყოველ მხარეზე. უნდა იცოდნენ კომუნისტებმაც, რომ გამცემს და დამნაშავეს ციხეში აქვს ადგილი.

ს. გვარდიელი.

# Ს. Დ.-ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲨᲘ

**შეცდომის გასწორება.**

გამოვიდა და დაეგზავნა ორგანიზაციებს უწყება საქ. სოც.-დემ. მუშ. პარ. მეორე ყრილობისა, რომელშიაც შეცდომით არ არის მოთავსებული შემდეგი:

**შესწორებანი კონსტიტუციის პროექტისა:**

მუხლი 75. მთავრობას ჰყავს თავმჯდომარე, რომელსაც ირჩევს პარლამენტი ერთი წლის ვადით.

მუხლი 76. ერთი და იგივე პირი შეიძლება ზედიზედ იქნეს არჩეული მხოლოდ ორჯერ. გამოიტოვოს.

მუხლი 79. დაემატოს თავში: მთავრობის თავმჯდომარეს ენიჭება რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობა.

იგი ნიშნავს ელჩებს უცხო სახელმწიფოებში.

უცხოეთის ელჩები წარმოიგზავნებიან მასთან.

სასწრაფო შემთხვევაში, გარეშე ან შინაური საფრთხის დროს, თუ მთავრობის დადგენილების გამოტანა დაბრკოლებულია, თავმჯდომარეს უფლება აქვს გამოიწვიოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალა საშიშროებისაგან ქვეყნის დასაცავათ, რაც დაუყონებლივ უნდა მოხსენდეს პარლამენტს.

თავმჯდომარე სცემს ბრძანებებსა და განკარგულებებს და სხ. (იხ. ტექსტი კონსტ. პროექტისა მუხ. 79).

მუხლი 80. მთავრობის თავმჯდომარეს ჰყავს მოადგილე, რომელიც ასრულებს მის მაგივრობას მთავრობაში.

მუხლი 82. რესპუბლიკის დანარჩენ საქმეთა მართვა-გამგეობა განაწილებულია მთავრობის წევრთა შორის; თვითეული მათგანი დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით უძღვებიან მისთვის მინდობილ საქმეს, და უნდა გადადგეს, როდესაც პარლამენტის პირდაპირი დადგენილებით დაჰკარგავს მის ნდობას.

მუხლი 83. მთავრობის თავმჯდომარე ვალდებულია დაემორჩილოს პარლამენტის ყოველ დადგენილებას, სისწორით აასრულოს იგი და ამის მიხედვით, თუ საჭირო შეიქნა, გამოსცვალოს ცალკე მინისტრი ან გარდაქმნას მთელი კაბინეტი.

მუხლი 85. კონსტიტუციის დარღვევისათვის მთავრობის თავმჯდომარე და მისი წევრები პასუხისმგებელნი არიან სისხლის სამართლის წესით. როგორც კონსტიტუციურ, ისე სხვა დანაშაულობისათვის მთავრობის წევრთა პასუხისგებაში მიცემა შეუძლია მხოლოდ პარლამენტს. მთავრობის წევრთა გასამართლება საერთო წესით სწარმოებს.

„უწყების" მე-15 გვერდზე, ზევიდან მე-9 სტრიქონზე სწერია: „საშუალება ნაციონალურ მეურნეობის აღორძინებისა", უნდა იყოს: „საშუალება რაციონალურ მეურნეობის აღორძინებისა და სხ.

# ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘ

(წერილი რომიდან)

იტალიაში მომქმედი სახალხო დაბალი სკოლები ამჟამად ორგვარი ტიპით აღინიშნება. ეს არის სკოლა მთავრობის—თავისი ოფიციალური სასწავლო პროგრამით, ეგრეთ წოდებული, სკოლა მონტესორის, იმავე უფლებებით, რასაც მთავრობის დაბალი სკოლა იძლევა. როცა ამ ორ სკოლის თანასწორ უფლებებზე ვლაპარაკობთ, ცხადია, გასავლელი საპროგრამო მასალის და დროის რაოდენობაც ერთი და იგივეა, განსხვავებაა პროგრამის გადაცემა-დამუშავებაში, ე. ი. მეთოდებში.

მთავრობის სკოლებში ხდება ჩვეულებრივი მუშაობა, ასწავლიან ამა თუ იმ საგანს შესათვისებლად, კმაყოფილდება რამოდენიმედ მოთხოვნილება ბავ-

შვის ფიზიკურ და სულიერ განვითარების, მაგრამ არ არის სკოლაში დაწესებული შრომაზე აგებული სწავლის პრინციპი, არ არის სკოლებში სასწავლო საგნებთან დაკავშირებული ისეთი ხელგარჯილობა, რომელიც ხელს შეუწყობდა ბავშვის ფიზიკურ და სულიერ თანასწორობასა და საღს განვითარებას, შემოღებულია ფიზიკური ვარჯიშობა, როგორც ცალკე საგანი, რაც სასწავლო საგნებთან პირდაპირ კავშირს ვერ იჭერს, სასწავლო საგნებს შორის ასწავლიან პრაკტიკულ გეომეტრიას, მაგრამ საერთოდ, საგნების სწავლება შრომასთან კავშირის დაჭერით არ ხდება და, ამიტომაც, სწავლის მეთოდში ინტელექტუალური მხარე სჭარბობს. ეს არის მოკლეთ, ასე ვთქვათ, იდეური მხარე მთავრობის სკოლებისა.

მონტესორის სისტემის საბავშვო ბაღები და შემდეგ ნორმალური დაბალი სკოლები, როგორც ვიცით, უფრო აღმზრდელობით მხარეს ანდომებს მეტს ყურადღებას—ითვისებს მასალას, როგორც საგანს და იმავე დროს ძალ-დაუტანებლათ ანვითარებს ბავშვის თვითმოქმედება-ნებაყოფლობას, ანვითარებს სულიერ ძალებს და გრძნობებს სათითაოდ. მასწავლებლის როლი, თითქმის პასიური, ბავშვის ნების მეტი აქტივობა სასწავლო საქმეში—სტიმულია სწავლის, თავისუფალი სკოლა—იდეაა მონტესორის სკოლისა.

საშუალებანი ამ მიზნის მისაღწევათ აუარებელი აქვს მონტესორს. საბავშო ბაღები თავდაპირველად აუცილებლივ თან ახლავს მონტესორის ოთხ წლიან დაბალ სკოლას. ყოველი სასწავლო საგანი შეიარაღებულია თავის თვალსაჩინო მასალით, სკოლა ზედმეტათ ავსებულია ყოველგვარ საჭირო სახელმძღვანელოებით, სურათებით და სხვა თვალსაჩინო საგნებით. აქ ბავშვი არამც თუ ისმენს სასწავლო საგანს, არამედ—უმეტესათ შეუძლია შეეხოს, გასინჯოს, დაყნოსოს, შეხედოს და ენითაც გასინჯოს იგი. ბავშვი თვალსაჩინოებაში სცურაობს, მოძრაობს მისი გონებაც,—ადარებს, ანსხვავებს და ამსგავსებს, გადაარჩევს, აკვირდება, მას ამისათვის არაფერი აკლია. საბავშვო ბაღებში, ცხადია, ის უფრო თამაშობს, ირკვევს განვითარების გზას და ამგვარათ გადადის ნორმალურ დაბალ სკოლაში, სადაც უფრო დიდებით მუშაობას ეწევა.

ამ სახით ჩვენ ვხედავთ განსხვავებას ზემოხსენებულ ორგვარ ტიპის სკოლებში და ერთი უმთავრესიც—ტეხნიკური განსხვავებაა. მთავრობის სკოლებში ვერ ვნახავთ იმდენ თვალსაჩინო საგნებს და მოწყობილობებს, როგორც აქ, მონტესორის სკოლებშია.

იტალიის სახალხო განათლების მინისტრის ამხანაგთან შეხვედრა მქონდა სახალხო განათლების საკითხის შესახებ. მისგან პირადათ და სახალხო დაბალ სკოლების მთავარ გამგისგან, მივიღე ცნობები და დავათვალიერე რამდენიმე სკოლა რომში. აქვე უნდა აღვნიშნო ის, რომ ჩვენი მისიის თხოვნას განსაკუთრებული ყურადღებით მოეპყრო იტალიის სახ. გან. მინისტრი და სიამოვნებით მაწვდიდა ყოველგვარ ცნობებს და მასალებს სკოლების შესახებ. მაინტერესებდა მონტესორის სკოლა, როგორც ახალი სისტემა, რომლის შესახებ მინისტრმა სთქვა: იდეა მონტესორის სკოლისა კარგია და მისაღები, მაგრამ გავრცელება სახელმწიფოში ამგვარი ტიპის სკოლისა აჰამათ არ ხერხდება, რადგან ის ძლიერ ძვირად ჯდება. აქ სახელმწიფოს დაბალი სკოლები ადგილობრივ წვრილ და მსხვილ კომუნების დახმარებით ინახება. მონტესორის სკოლები არსდება შეძლებულ მსხვილ კომუნებში—ამავე კომუნების საშუალებით. ზოგან მთავრობის დახმარებით; ასეთი სკოლები ამ ჟამათ არსებობს რომში, მილანში, გენუაში, ერთის სიტყვით—მსხვილ, შეძლებულ კომუნებში. ამ ტიპის სკოლა ამ ჟამათ ექსპერიმენტის ხანაშია და შედეგი ექსპერიმენტისა ჯერ სრულად ცნობაში მოყვანილი არ არის. მე შემთხვევა მქონდა გავცნობოდი რომში მონტესორის სკოლას. ვინახულე საბავშვო ბაღი. ზამთრობით ბავშვები თბილ საკლასო ოთახებში სხედან. პირველ შეხედვით სკოლამ ჩემზე ცუდი შთაბეჭდილება დასტოვა: მოწყენილობა, მკვდარი სიჩუმე, მასწავლებელი სდუმს მოლილმოდუნებულ სახით, ბავშვებიც სდუმან, ზოგი წაწოლილა თავის პაწია მაგიდაზე და არხეინად სძინავს, სძინავს მის გვერდით პაწია მის ამხანაგს. ზარი გაისმის, მოწაფეები გადიან, მძინებული ბავშვები განაგრძობენ ძილს, მასწავლებელი მიდის მაგიდასთან და, თითქმის თითონაც მძინებული, ბავშს უგეშურად თავზე უსვამს ხელს.—ეს იყო საბავშვო ბაღში, მაგრამ ასეთივე სურათი ვნახეთ ნორმალურ პირველ კლასშიაც.

ნუთუ მონტესორის სკოლა ეს არის? თავისუფალ სკოლაში—თავისუფალი ძილი? მაგრამ ასეთი სკოლები ჯერ მხოლოდ ცდა არის—მიამბო სახალხო სკოლების დირექტორმა და მასწავლებლებიც ვერ არიან სათანადოთ მომზადებული ამ გვარ სკოლებისთვის.

სახალხო სკოლები საზოგადოთ სოფლის და ქალაქის კომუნების დახმარებით ინახება. მთავრობა იძლევა მასწავლებელთა ჯამაგირებს; მსხვილ კომუნებში კი თითონ კომუნები სრული თავისი ხარჯით ინახავენ სკოლებს. სხვაგან კი—სასკოლო ბინებს, გათბობას და განათებას ადგილობრივ წვრილი კომუნები იძლევიან—არ ეკითხება მათ მხოლოდ მასწავლებლის ჯამაგირი, რომელთაც მთავრობა აკმაყოფილებს. მთელ იტალიაში არ მოიპოვება კომუნა, სადაც სკოლა არ არსებობდეს.

თითქმის 25 წ., რაც სავალდებულო, საყოველთაო და უფასო სწავლა დაკანონებულია, და ჯერ კიდევ სრულიად ცხოვრებაში არ გატარებულა. მინისტრის განცხადებით, სავალდებულო სწავლის გატარება ცხოვრებაში საძნელო საქმეა. როცა მშობლები სამსჯავროს გადაეცით სკოლაში ბავშვის არ გამოგზავნის გამო, მშობლებმა დაამტკიცეს, რომ შვილს ვერ მოაშორებენ ოჯახურ მუშაობას, რაც აუცილებელია ზოგ ღარიბ ოჯახის მატერიალურ არსებობისთვის. ასეთ შემთხვევაში თავის დაჭერა გვჭირდება, მშობლებს რაიმე სასჯელი მიუსაჯოთ,—და ეს გარემოება საგრძნობლათ აფერხებს ზემოხსენებულ კანონის დაჩქარებით ცხოვრებაში გატარებას. მაგრამ რამდენათაც დრო გადის, იმდენათ უფრო და უფრო შეგნებით ეკიდება ხალხი სწავლის საქმეს. ამ ომის შემდეგ აუარებელი ბავშვი მოაწყდა სკოლას. ომმა დაანახვა ხალხს სწავლის დიდი საჭიროება. ამ ჟამათ სამხრეთ იტალია უფრო ჩამორჩენილია სწავლის მხრივ, ვიდრე ჩრდილო. ჩრდილო იტალიაში 100% წერა-კითხვის მცოდნეა, სამხრეთში კი მხოლოდ 50%-ს იპოვით წერა-კითხვის მცოდნეს.

ქალ-ვაჟთა ერთად სწავლება ყველგან ერთგვარათ არ ხდება. ზოგ ჩამორჩენილ პროვინციებში—ჩრდილო იტალიაში—მშობლები 7—8 წლის ქალს სკოლაში არ აგზავნიან. რატომ? იმიტომ, რომ იქ 8—9 წლის ვაჟები სწავლობენ. ამიტომ იქ კომუნებს ცალკე საქალებო სასწავლებლები დაუარსებიათ.

თითქმის ყოველ დაბალ სკოლასთან არსებობს საბავშვო ბაღები, ამგვარ ბაღებში მოწაფენი 3—6—7 წლამდე დადიან, შემდეგ კი ნორმალურ დაბალ სკოლაში გადადიან. სახალხო დაბალი სკოლა 4 წლიანია, ზოგან კი 6 წლიანი. დაბალ 4 წლიან სკოლის დამთავრების შემდეგ მიიღებიან გიმნაზიის 1-ლ კლასში. საშუალო სასწავლებელში რვა წელიწადი რჩებიან. კავშირი დაბალსა და საშუალო სასწავლებლების შორის განუწყვეტელია და გამოუცდელად მიიღებიან. მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როცა მოწაფე გიმნაზიაში შესვლის სურვილს არ განაცხადებს, მაშინ ის ვალდებულია დარჩეს სახალხო სკოლაში კიდევ 2 წელიწადი და, სულ მაშასადამე, დაბალ სკოლაში 6 წელიწადი. ამ უკანასკნელ 2 წლის განმავლობაში, ბავშვი სპეციალურათ ითვისებს რაიმე სასოფლო, სამეურნეო, სახელოსნო ცოდნას, რაც მას სოფლის პრაქტიკულ ცხოვრებაში გამოადგება: წმინდა პროფესიონალურ სკოლებს სახალხო განათლების სამინისტრო არ ხელმძღვანელობს. ეს სხვა უწყებათა საქმეა. უნდა აღინიშნოს, რომ წმინდა პროფესიონალური სკოლების რიცხვი სახელმწიფოში მცირეა. არსებობს ეგრედ წოდებული კლერიკალების სკოლები, სადაც მთავრობის პროგრამებით ასწავლიან, განსხვავებაა ერთ საგანში: ვისაც სურს ისწავლის საღვთო სჯულს. საღვთო სჯულის სწავლება აქ ყველასათვის სავალდებულო არ არის. სოფლებისა და ქალაქის კომუნებში საღვთო სჯულის სწავლება სრულიად გამორიცხულია.

ბ. გელა—გელაზანია.

(დასასრული იქნება)

# მუშათა შორის

**ქ. ახალ-სენაკი.** ერთ წელზე მეტია, რაც ქ. ახალ-სენაკში დაარსდა სხვადასხვა საქონლის გადამტვირთავ-გადმომტვირთავ მუშათა პროფესიონალური კავშირი. კავშირი შესდგება ასამდე წევრისაგან და შეიცავს ორი სხვადასხვა დარგის პროფესიის მუშებს—მეურმეებს და ხელით მომუშავეებს. მუშაობა სწარმოებს მოორიგეობით. თითეული რიგზე მუშაობს ოც-ოცი კაცი, მაგრამ არიან ისეთი მუშებიც, რომლებსაც კრიტიკული მდგომარეობის გამო, სამუშაოზე უპირატესობა აქვთ და ყოველ დღეობით არიან დაშვებულნი სამუშაოზე...

საერთოდ რომ ავილოთ, ეს კავშირი მაინც და მაინც ვერა სდგას სრულ სიმაღლეზე, რაც უფრო იმ გარემოებით აიხსნება, რომ წევრნი არ არიან სათანადოთ მომზადებულნი. მეტ შემთხვევებში წყალს ისინი ამღვრევენ, რომელთაც თავი მოაქვთ უაღრეს „სოციალისტებად“. ეს ვაჟბატონები თავიანთი უმსგავსო საქციელით ჩირქსა სცხებენ არა მარტო სენაკის ამ კავშირს, არამედ საერთოდ ყველას. მოვიყვანთ ერთ მაგალითს: ამ ერთი თვის წინეთ ფოთიდან ჩამოვიდა ერთი პიროვნება, რომელსაც უნდა გაეტანა სენაკის ქვა; ასეთ საქმეებში კავშირის მუშებს გარიგება არა სჭირიათ. მათ აქვთ ეხლახან დამტკიცებული ნიხრი და თანახმად ამ ნიხრისა უნდა გარდახდეს ყველას ხელფასის ღირებულება.

ვაგონი ქვით დატვირთეს იმ მორიგე ოცმა მუშამ, რომლებსაც მეთაურობდა კომუნისტი კირილე მანუჩარის ძე ლომია. ანგარიშების გასწორების დროს, ლომიამ ქვის პატრონს განუცხადა, მართალია, ვაგონი ქვის დატვირთვა ნიხრით ღირს 600 მანეთი, მაგრამ ეს ცოტაა და უნდა დამიმატოვო და მას სთხოვა ორჯერ მეტი. რასაკვირველია, ქვის პატრონი ამაზე აღარ დასთანხმდებოდა. მან ანგარიში გაასწორა თანახმად დადებული ნიხრისა, მაგრამ, როგორც გამოირკვა ამ თვის 11-ს კავშირის საზოგადო კრებაზე, ამ კომუნისტ ლომიას ქვის პატრონისათვის „ღვინის ფასად“ გამოურთმევია ხუთასი მანეთი. გამოაშკარავდა რა ეს საზოგადო კრებაზე, სასტიკად იქნა გაკიცხული ლომიას ასეთი საქციელი. კრებამ დაადგინა, რომ ნიხრზე მეტი მუშაობის ხელფასი არავის მოეთხოვოს, ხოლო, თუ რაიმე საგანზე ნიხრი არ არის საკმარისი, იქნას ხელ-ახლა გადასინჯული და წარედგინოს სადაც ჯერ არს დასამტკიცებლად. აგრეთვე გამოცვლილ იქნა კავშირის გამგეობა, რომელსაც თავმჯდომარეობდა სოციალისტ-რევოლიუციონერი ს. ხ—ია და, რომელიც ეხლა-ხან გამოუშვეს სატუსაღოდან ერობის საწყობებში დაკარგულ საქონლის ქურდობის ბრალდების გამო. (ხარბედია მსახურობდა სენაკის სამაზრო ერობის საწყობში ნოქრად). **იმედი.**

**სად. ნავთლუღი** (კახ. რკ. გზა) 14 ივლისს შესდგა ნავთლუღის მუშა-მოსამსახურეების მრავალრიცხოვანი კრება. თავმჯდომარეობდა ამხ. ილ. კალანდაძე, მომხსენებლათ იყო მოწვეული ამხ. ნოე რამიშვილი. მოხსენება გაკეთდა: 1) საქართველოს და საბჭოთა რუსეთის პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობის შესახებ, 2) ჩვენში ბალშევიკების მუშაობის შესახებ. ვრცელი მოხსენებების შემდეგ იყო მრავალი შეკითხვები. პასუხით კრება დაკმაყოფილდა. ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი რეზოლიუცია: „მოისმინა რა მოხსენება ამხ. ნ. რამიშვილის საქართველოს და საბჭოთა რუსეთის პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობის შესახებ და ჩვენში ბალშევიკების მუშაობისა, კრება სავსებით იწონებს დამფუძნებელი კრების და მთავრობის მუშაობის პოლიტიკას, ფიცსა სდებს, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცავს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას მის დამფუძნებელი კრებას და მთავრობას“. **ლ. ა—ძე.**

# პროვინცია

## ნეიტრალური ზონა.

როგორც ვიცით, ამ რაიონის (ლორის), რომელიც შეადგენს ნაწილს ბორჩალოს მაზრისას, ნეიტრალ ზონათ გამოცხადება, არის შედეგი ქართველ-სომხეთა ომიანობის.

ნეიტრალი ზონა შესდგება 52 სოფლისაგან. მოსახლეობის შემადგენლობა ეროვნების მხრით ასეთია: სომხები, თათრები, რუსები (მალაკნები) და ბერძნები. უკანასკნელნი გადმოსახლებულნი არიან მეფე ერეკლეს მიერ, პირველად რიცხვით 50 მოსახლეობა, ეხლა კი უკავიათ რამოდენიმე სოფელი. ეს იცის ყოველმა ბერძენმა, დიდმა თუ პატარამ და მოჰყავს მას საუკეთესო საბუთად მაშინ, როცა შეეკითხებით, თუ ვის მხარეზე უნდა გადმოვიდეს ზონა.

ადგილები ზონაში მთა-გორიანია თითქმის ყველგან, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ლორის დაბლობს. მთები მდიდარია საძოვარი ადგილებით და სხვადასხვა მადნეულობით. ამის და მიხედვით ხალხი ეწევა მეჯოგეობას, და სამთა-მადნო მრეწველობას. ვორონცოვკაში, კარა-კალაში და კარა-ისაში (მალაკნების სოფლებია) გაშენებულია ყველისა და კარაქის ქარხნები. ვორონცოვკაში არის აგრეთვე ტყავის ქარხნები. მთელი ნაწარმოები გააქვთ უმთავრესად თფილისში. სამთა-მადნო მრეწველობა განვითარებულია ბერძნების სოფლებში: მონესში, ალავერდში, ახტალაში და სხვა...

აქ გაშენებულ ქარხნებში ამუშავებენ ოქროს, ვერცხლს, სპილენძს და სხვადასხვა სიმაგევს. ეს ქარხნები გაკეთებულია ცნობილ საფრანგეთის კომპანიის პირიტიკის მიერ, რომელსაც იჯარით აქვს აღებული ეს ადგილები და ამუშავებს აგერ 40 წელზე მეტია. ს. მონესში არის აგრეთვე ელექტრონის სადგური, რომელიც ბუნებრივ ძალით სარგებლობს და ეს ძალა უდრის 1500 ცხენის ძალას. ელექტრონით განათებულია ორი კლდოვანი სოფელი, რაიც ფრიად სასიამოვნო და ორიგინალურ შთაბეჭდილებას სტოვებს მნახველზე. 4 წელიწადია, რაც ქარხნებში მუშაობა შეჩერებულია ომის მიერ გამოწვეულ მიზეზების გამო, რამაც უმწეო მდგომარეობაში ჩააგდო ყველა ის მშრომელი, რომელიც ამით ირჩენდა თავს. ასეთები კი უმთავრესად ბერძნებია. უკანასკნელნი იძულებული არიან სახლის ავეჯეულობასაც კი მიმართონ გასასყიდათ, ოღონდ შიმშილს დააღწიონ თავი. ვისაც აგეთიც არ მოეპოვება, იგი ხომ განზადებულია სასიკვდილოდ. უკანასკნელი აქ ხშირი მოვლენაა. იყო შემთხვევები გადასახლებისაც.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ არამც თუ ზემოაღნიშნული ამ ჟამად მთელი ზონის მცხოვრებნი განიცდიან სრულ შიმშილობას პურის მხრივ. პური აქ არ მოჰყავთ, საქართველოდან და სომხეთიდან შემოტანა აკრძალულია, ხოლო ამერიკა, რომელიც აგზავნიდა ზონაში პურს და ხელმისაწდომ ფასებში თუ უფასოდ ურიგებდა მცხოვრებთ, ორი თვეა,—რაც ერთი ფუთიც არ შემოუზიდავს. არა უშავს კიდევ იმათ, ვისაც ჯოგი ჰყავს; არც ისე საგრძნობია მათთვის უპურობა, ხოლო მდგომარეობა იმათი, ვინც ქარხნებში მუშაობდენ, ყოვლად აუწერელია. როგორც ვთქვი, ზონას დღემდე დიდს სიკეთეს უშვებოდა ამერიკა პურის შემოზიდვის თუ სხვა რამის სახით, თუმცა უნდა ითქვას, ეს საჩუქარი ვერ აღწევდა მთლიანად თავის დანიშნულებას აქაურ ბატონ-პატრონთა მადა-გახსნილობის გამო. მხედველობაში მყავს ყოფილი წარმომადგენელნი: საქართველოსი—ლორთქიფანიძე და სომხეთის—ვარდაპეტიანი. ამათ დიდებულად უსარგებლებიათ „ფეშქაშების“ ქვეყნით. ესენი უფრო თავიანთ ჯიბეებზე ფიქრობდენ თურმე, ვიდრე ხალხის კეთილდღეობაზე. ხალხიც მათ ზიზღით მოიხსენიებს: მათი საქმენი-საგმირონი—ცნობილია მთელს ზონაში. აღწერას არ შევუდგები, ვინაიდან როგორც მოსალოდნელიც იყო, საქართველოს მთავრობამ თუმცა გვიან, მაგრამ მაინც გამოგზავნა თავისი რწმუნებული ლორთქიფანიძის საქმის გამოსაძიებლათ, რითაც ხალხი კმაყოფილი დარჩა. საჭიროა მხოლოდ საქმეს მიეცეს სწრაფი მსვლელობა. დამნაშავე სასტიკათ უნდა დაისაჯოს.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, მშრომელი მასსა ზონაში დამშეულია. მაგრამ სიდუხჭირე მათი მდგომარეობისა ამით როდი ამოიწურება. რომ მიიღოთ დამთავრებული სურათი მათი ყოფა-ცხოვრების, უნდა დაურთოთ ზედ ზემო-აღნიშნულს ქურდობა, რომელიც აქ ჩვეულებრივ მოვლენათ არის გადაქცეული. ცხადია, კულტურულად ჩამორჩენილობის გამო, ყაჩაღობა და ორგანიზაციული ძარცვა-გლეჯა სისტემატიური ხასიათის მატარებელია. მხედველობაში მყავს ე. წ. ვასო და ბეგლარის რაზმები, სადაც 300-დე კაცი ირიცხება. ეს რაზმი სდგას სომხეთის საზღვარზე და აქედან თავზარსა სცემს ზონის მცხოვრებთ. გასაკვირი ამ ყაჩაღთა ბრბოს ის არის, რომ იგი უაღრესად ნაციონალისტურია. იგი სომხებს არ დაეცემა, არამედ ან თათარს, ან რუსს და ან ქართველს. იყო შემთხვევები, როგორც ეს „ერთობის“ ფურცელზედ იყო აღნიშნული, საქართველოდან ნახირის წასხმისა. ყოველივე ეს აშკარაა აქაურ მმართველ წრისათვის, მაგრამ იგი უძლურია მასთან ბრძოლაში, თუმც ზომებს იღებს, მაგრამ ცდა უშედეგოთ თავდება. მიზეზი თვით მართველობის სისტემაში უნდა ვეძიოთ. ზონას მართავს ორი წარმომადგენელი, წარმომადგენელი სომხეთიდან და საქართველოდან. აგრეთვე ინგლისელი გენერალი, რომელიც ასრულებს არბიტრის როლს წარმომადგენელთა შორის.

ეს წარმომადგენლები თანასწორი უფლებით სარგებლობენ მართველობის სფეროში. ერთმა რაიმე მოიმოქმედოს არ შეუძლია, თუ კი მას დასტური მეორისგან არ ექნება. ასე რომ, საქ. წარმომადგენელს უსაზღვრო სურვილიც რომ ჰქონდეს (ცდა, ცხადია, არა ერთხელ ყოფილა) თუნდაც ეს რაზმი ალაგმოს, მას არ შეუძლია, თუ სომხეთის წარმომადგენელმაც მხარი არ დაუჭირა. უკანასკნელი კი ფორმალურათ ყოველთვის ხდება, ხოლო ფაქტიურათ იშვიათად. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ის გარემოება, რომ სომხეთის იმ ადგილებში, საცა ეს ყაჩაღები თავისუფლად ცხოვრობენ და სადაც თავიანთ ნადავლს ასაღებენ, ადგილობრივ მთავრობის აგენტები არავითარ ზომებს არ იღებენ მათ წინააღმდეგ, არამედ დახმარებასაც კი უწევენ. ამას მოწმობს შემდეგი ფაქტი: რაზმის ხელმძღვანელი ვასო მარკარიანცი, როგორც ეს „ერთობა“-შიაც იყო მოთავსებული, ითვლება სომხეთის სამხედრო ნაწილში. აგრეთვე, როგორც სარწმუნო წყაროდან ვიცით, 28 მაისს ნაციონალურ დღესასწაულზე იგი იღებდა თურმე მხურვალე მონაწილეობას აღლუმში ეროვნული დროშით ხელში.

გარდა აღნიშნულისა, ძალაც არა ჰყავს აქაურ მთავრობას საკმაო და საიმედოც. მილიცია უმთავრესად ადგილობრივ მცხოვრებთაგან შესდგება, რომელიც, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ზოგიერთებს, ხელსაც კი უწყობს ბოროტმოქმედთ. უკანასკნელ ხანამდე ასე იყო, ეხლა კი მიექცა მას ჯეროვანი ყურადღება და, თუ საქმე მაინც ვერ მიდის სასურველად, ამაში ისევ ზემოაღნიშნული მიზეზი არის დამნაშავე.

თქმულება—„აქლემები წაიჩხუბენ, კოზაკი შუაში გასრისესო“ აქაურ მთავრობისა და მცხოვრებლებზეა ზედ გამოჭრილი. (ლაპარაკია უკანასკნელ 3 თვის მოღვაწეობის შესახებ და არა ლორთქიფანიძე—ვარტაპეტიანზე, რომელთა მოქმედება ყოველივე კრიტიკის გარეშე სდგას). მთავრობის წარმომადგენელნი ერთმანეთს არ უთმობენ და ასე კინკლაობაში უდანაშაულო მშრომელი მასსა მსხვერპლად ეწირება. დროა ბოლო მოეღოს ყოველივე ამას. ბოლო კი მოეღება მაშინ, როცა ეს მხარე გადავა ერთი გამგის ხელში, როცა დამყარდება ერთ-მთავრობიანობა. თუ ვის ხელში უნდა გადვიდეს, ამაზე ლაპარაკიც მეტია. ეს მხარე ისე მჭიდროთაა გადაჯაჭვული ეკონომიურათ თუ კულტურულათ თფილისთან, რომ მისგან დაშორება მის დასახიჩრებას უდრის. ამ მხარეს ისე ეჭიროება თფილისი, ვით თევზს წყალი. ამას მოწმობს დღეში 150 ნებართვის აღება აქ ურ მცხოვრებთა მიერ საქართველოში გასასვლელად იმ დროს, როცა ერევანში 1—2 წამსვლელი თუ იქნა, ისიც დიდია. ამას მშვენივრად გრძნობს ხალხი და თუ საჭირო დარჩა მისდამი შეკითხვა, იგი შესძლებს თავის ინტერესის ღირსეულად დაცვას.

**დახელი ქალი.**

**ზემოჩიბათი** (გურია). აქ მოიპოვებიან ისეთი პირები, რომლებიც ხშირად ითვრობიან და შემდეგ ერთ აურ-ზაურს სტეხენ, ამტვრევენ ყველაფერს—მაგ., სამკითხველოს, ლანძღავენ მშვიდობიან და პატიოსან პირებს და ასე არღვევენ სოფლის მყუდროებას. ხშირათ ასეთი პირები კოოპერატივში გალეშილნი თავს ესხმიან მუშაკ ახალგაზრდებს, აგინებენ, ემუქრებიან იარაღით. ამას ხედავს ადგილობრივი მილიციელი, რომლის პირდაპირი მოვალეობაა გააფრთხილოს ასეთი პირები და ჩამოართვას იარაღი, მაგრამ ის ზომებს არ იღებს. საჭიროა აქაური ახალგაზრდობა, განურჩევლათ მიმართულებისა, შეებრძოლოს ასეთ მოვლენებს, ხელი მოჰკიდოს კულტურულ მუშაობას და მაშინ ასეთი ხორცმეტები ვერ იბატონებენ სოფლად.

აქაური კოოპერატივი ვერ არის სასურველ ნიადაგზე მოწყობილი. კოოპერატივი მუდამ ზარალშია, მუდამ აგებს, ზოგი შიგ ფულს ფლანგავს და ხალხს შეაძულეს ეს საყვარელი დაწესებულება. ხალხმა არ იცის რა გზას დაადგეს. დღეს იგი კოოპერატივათ არ შეიძლება ჩავთვალოთ, არამედ—ეს არის სამიკიტნო, სადაც დახლზე ყოველ დღე სმა და ქეიფია, ყვირილი, ყიჟინა, გინება. ხალხს ეშინია კოოპერატივის წინ გავლის; ვინც ასეთ დაწესებულებას ასე შეაძულებს ხალხს, დაამცირებს მის სახელს, ის პასუხისგებაშია მისაცემი...

იმედია ხალხი რაიმე გზას გამოძებნის და საქმეს მოაგვარებს.

**ღუღუნა.**

რედაქტორი **ლევან ნათაძე.**

# განცხადებანი


## ბაკურიანში მათემატიკოსი

გიმნაზიის **მასწავლებელი იძლევა გაკვეთილებს**
**მათემატიკაში,**
სახლი **ლექსო მიქასერიძისა.**
(2—1)

---

**ყ. სრულ-უფლებიან გიმნაზიის გამგე მათემატიკის**

## მასწავლებელი

**ი. მ. მაჩაიძე** იღებს მოწაფეებს განმეორებით გამოცდებზე მოსამზადებლად. მათემატიკაში და ენებში, აგრეთვე იანვერის და ივნისისათვის 3, 4, 5, 6 კლ. პლეხანოვის პრ. და ალექსის ქ. კუთხე, № 25—5, 9—1 ს. 4—7 ს.
(2307 1—1

---

დოქტორი

## გ. გ. მეგრაბიანცი

შინაგანი ავადმყოფობა—ჭლექი და გულისა. იღებს ახალს რენტგენ-ელექტრო კაბინეთში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს და საღამოს 6—8 საათამდე.
(1790—თ.)

---

ექიმი

## კ. გ. კართანოვი

სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606“ და „914“ შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ.
(2264 —თ.)

---

ექიმი **მ. ა. შაფრანი**

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“ ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი ოლღას ქ. № 33. (1288 25—4)

---

ექიმი **ა. დ. კეკელია**

სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 4—6 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე“ პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 1838 თ.

---

## იყიდება საკერავი მანქანა-შკაფი

**ზინგერის სისტემისა.**
პეტრედიდის ქუჩა № 18 მეორე სართული, ბინა № 6.

---

ექიმი **ლ. ა. სარალიძე**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 6—7 საათამდის ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87, ტელეფონი 3—19. ავჭალის აუდიტორიის ახლო.
(2383—თ.)

---

ექიმი

## ნ. ა. არუთინოვი

სპეციალურათ სიფილისი (606 და 914) ვენერიული ტრიპერი, შარდის ორგანოების ოპერაცია ნდისკოპია (საშარდე მილის). მიხეილის პრ. № 80, ბინა 3. მიღება დილით 9—12 ს. საღ. 4 ნახ. 6 ნახ. საათამდე. (1555—თ.)

---

**ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის სამხედრო ჰოსპიტალი—ექიმი**

## ი. გ. ქუთათელაძე

იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავათმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის (ქოთაოს) საპს ვიკვლევ მალეინის შეშხაპუნებით. ჭიით ცხვრის სასულე—მილის ავათმყოფობას ვქიმობ Neimann-ის და Vessel-ის მეთოდებით. ყოველ დღე 3—6 საათ. ბელინსკის ქ. № 39, ბინა 2. (2010—15—1)

---

ექიმი **ივ. გოკერია**

პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 141; სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ. ქირურგ., ქალის სნეულებანი და საკუშერო. 1—2 ს. და 5—6 საათამდე. ტელეფონი 5—97. (1835—თ.)

---

ექიმი

გენრიხ ისაიას ძე **კოლოხი**

(ქუთაისიდან)

ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს საღ. 4—7 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის), ტელეფონი 7—38. (1741—თ.)

---

ექიმი

## გ. ი. ოქროპირიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქ. № 22, სოლოლაკი)

---

ექიმი

სოლომონ ისაიას ძე **კოლოხი**

(ქუთაისიდან)

იღებს ქალისა და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბელგიის ქ. № 5. ტელეფ. 10—55.
(1742—თ.)

---

ექიმი

## ნ. მ. გაჩეჩილაძე

(შინაგან და ბავშვთა სნეულებათა) ავათმყოფებს იღებს დილის 8—10, საღამოს 4—7 ს. გრიბოედოვის ქ. № 4.
(უ. 25—3)

---

## შემთხვევით იყიდება

**უმილო სისტემის გრამოფონი 93 ფირფიტებით (პლასტინკები)**

22 ც. პატეფონის ფირფიტა 22 ც. ქართული (გურული სიმღერები და სცენები) ფირფიტა 49 ც. რუსული ფირფიტები საუკეთესო და იშვიათნი, 2 ბემბაშებით ერთი გრამაფონის და მეორე ბატეფონის, 4 კოლოფი ნევსებით. საერთო ფასი—12,000 მან. გოგოლის ქ. № 59 ბინა 8. გაშინჯვა შეიძლება ნაშუადღევს 3—7 საათამდე. (2420—2—1)

---

## საქართველოს სახაზინო რკინის გზათა სამმართველო

10 აგვისტოს 1920 წ. 12 ს. დღისით. მოუწოდებს შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებათ იმ პირთ, რომელთაც სურთ აიღონ

## სად. ბათომის I II და III კლ. ბუფეტები

ცხელი-საჭმელებით და საპარიკმახერო ამავე სადგურის მხოლოდ ზევით აღნიშნული ბუფეტები და საპარიკმახერო გაიცემა ცალ-ცალკე და სახელდობრ ასე: I და II კლ. ბუფ. ცალკე III კლ. კიდევ ცალკე განცხადებანი უნდა შემოტანილ იქმნეს პირადათ ან და გადმოგზავნონ ფოსტით განცხადებებს უნდა თან ახლდეს საქვითარო ბარათი საწინდრის ფულის რიცხვით 5000 მან. თვითეულ ბუფეტისათვის საპარიკმახეროსთვის კი 5000 მან. საწინდრის ფული უნდა შეტანილ იქმნეს სამმართველოს მთავარ სალაროში ან და ერთ-ერთ სადგურის სალაროში იმ შემთხვევაში თუ წინადადება შეჯიბრებაში მონაწილეობის მიმღებ ამა თუ იმ პიროვნებისა უარყოფილ იქნება საწინდრის ფული დაუბრუნდებათ მათ უკან. დაწვრილებით ცნობებს შეჯიბრების შესახებ იძლევა ექსპლოატაციის სამსახური 10—2 საათამდე დღისით რკინის გზათა სამმართველო იტოვებს უფლებას გასცეს იჯარით ბუფეტები და საპარიკმახერო თავის შეხედულებისამებრ ე. ი. არა დიდ განცხადებულ ფასშიაც. (ნ. 3—3)

---

## პროფესიონალურ და კოოპერატიულ მოძრაობის შესასწავლი კურსები

საქ. პროფ. კავშირთა ცენტრალური საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, საქ. კოოპერატივთა ცენტრალური კავშირი და თფილისის საავადმყოფო კასის გამგეობა აწყობს შემოდგომისათვის სამი თვის ვადიან კურსებს პროფ. მოძრაობისა, კოოპერაციის და დაზღვევის საქმეების შესასწავლად. (კურსების გახსნის დრო შემდეგ იქნება გამოცხადებული).

კურსებზე მეცადინეობა იქნება საღამოობით 6—9 საათამდე, დღისით კი პრაქტიკული მუშაობა ორგანიზაციებში. მეცადინეობა იქნება უსასყიდლოთ. უპირატესობა მიეცემა მუშათა და კოოპერატივთა ორგანიზაციების კანდიდატებს.

პროვინციელებისათვის იქნება უსასყიდლო ბინა.

მსმენელნი გამოცდილი იქნებიან წინდაწინ რექტორთა კოლეგიის მიერ.

ვთხოვთ პროფ. კავშირებს და კოოპერატივებს შეუდგენ სამზადისს და გამონახონ სასურველი კანდიდატები.

კურსებზე წაიკითხება ლექციები შემდეგ საგნებზე:

1. პოლიტიკური ეკონომია.
2. მუშათა კანონმდებლობა.
3. მუშათა მოძრაობის ისტორია.
4. პროფეს. მოძრაობის თეორია და პრაქტიკა.
5. სტატისტიკა და ფინანსები.
6. დაზღვევა.
7. ისტორია და თეორია კოოპერატიული მოძრაობისა.
8. ორგანიზაცია და პრაქტიკა პროფ. მოძრაობისა.
9. ორგანიზაცია და პრაქტიკა კოოპერ. მოძრაობისა.
10. ბუჰგალტერია.
11. პროფ. მოძრაობა საქართველოში.
12. კოოპერატიული მოძრაობა საქართველოში.

საჭირო ცნობების მისაღებათ მსურველთ შეუძლიათ მიმართონ კურსების მომწყობ საორგანიზაციო კომისიას შემდეგი მისამართით: თფილისი, რუსთაველის პრ. მუშათა სასახლე სართული 4, ოთახი 5, ტელ. 3—56.

(5—5) კურსების მომწყობი **საორგანიზაციო კომისია.**